საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 5 დეკემბერი. 2022 წ. №1 (9339) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

საბაზრო თავლითობის საიდუმლოებანი!

3

რა კავშირშია აშშ-ის „შავ სიაში“ მოხვედრილი ქართული კომპანიები სსტს „დელტას“ უფროს სპეციალისტთან?

ყველა განსაცდელიდან თქვენი ლოცვით გაძლიერებულნი გამოვდიოდით!!!

პატრიარქი 89 წლის გახდა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 89 წელი შეუსრულდა. ილია მეორე, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი, 1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში დაიბადა. მისი მშობლები, გიორგი ღუდუშაური-შიოლაშვილი და ნატალია კობაიძე ძალიან მორწმუნეები იყვნენ. 1952 წელს ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში განაგრძო.

1957 წლის 16 აპრილს სასულიერო აკადემიის მე-2 კურსის სტუდენტი ილია მეორე საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ბერად აღკვეცეს და მას სახელად ილია უწოდეს. მოსკოვის სასულიერო აკადემია ილია მეორემ 1960 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

1963 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მაშინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ არქიმანდრიტი ილია ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხა, 1967 წელს კი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი გახდა. ორი წლის შემდეგ ილია მეორე მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. მან სოხუმში 11 წელი დაჰყო. საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის დავით მეხუთის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა კათოლიკოსი ილია მეორე პატრიარქად აირჩია. ილია მეორის ინტრონიზაცია 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა.

ვულოცავთ ჩვენს საყვარელ პატრიარქს, ბრძენ, შორსმჭვრეტელ წინამძღოლს, მართლმადიდებლური სარწმუნოების ბურჯს იუბილეს. მისი, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით აღსავსე მოღვაწეობა და ცხოვრება ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის სანიმუშო მაგალითია. ვუსურვებთ უწმინდესსა და უნეტარესს ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს. კიდევ დიდხანს ყოფილიყოს ქართველი ხალხის, მსოფლიო მართლმადიდებელთა და საქართველოს მოქალაქეთა იმედად და წინამძღოლად.

ვიქტორ სანეევი: დასაფლავება ჩემს მშობლიურ მიწაში მირჩევნია!

ვიქტორ სანეევი – დიდი ოლიმპიონიკი



ერთი ასეთი სპორტსმენი მარტოდმარტო შეუქმნის ნებისმიერ ქვეყანას სპორტულ პრესტიჟსა თუ ისტორიას. ღვთის წყალობით, საქართველოს დიდი სპორტსმენები, დიდი ჩემპიონები მუდამ ბევრი ჰყავდა, მაგრამ ვიქტორ სანეევი დიდ ჩემპიონთა ფონზეც კი გამორჩეული იყო. სპორტის მოყვარულებმა იციან, რომ ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი ყველაზე მაღალი სპორტული ჯილდოა; სპორტსმენებიც განსაკუთრებული ჟინით და განსაკუთრებული შემართებით მიელტვიან ამ მწვერვალს. მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონიც ყველა თავის მედალს სიამოვნებით გაცვლიდა ერთ ოლიმპიურ „ოქროზე“, რადგან ათგზის მსოფლიო ჩემპიონიც ადრე თუ გვიან ექსჩემპიონი გახდება, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული კი „ექს“ პრეფიქსს არასოდეს დაირთავს: ოლიმპიური ჩემპიონი უკვდავი ჩემპიონია, მარადიული ჩემპიონი.

ვიქტორ სანეევი სამგზის უკვდავი ჩემპიონი გახლავთ.

ოთხგზის უკვდავიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტოტალიტარულმა სისტემამ, რომელსაც ხან სსრკ ერქვა და ხან სკკპ, ხან საკავშირო სპორტკომიტეტი და ხან რა, სისტემამ, რომელიც განაგებდა ნებისმიერი საბჭოთა სპორტსმენის მთელ კარიერას, მოსკოვის ოლიმპიადაზე ცინიკურად იძია შური სანეევზე.

იხ. 10 გვ.

ნაცური ჩარბუზანა გრძელდება...

როგორ აპროტესტებდა მერაბ კოსტავა ციხეში ფსიქიკურად დაავადებულის იარლიყის მიწებებას, სააკაშვილის ახლობლები კი გამუდმებით მიშას ფსიქიკური დაავადებით აპელირებენ

ჩვენ – ევროპისკენ და, ევროპა – საითკენ?

200 მილიონი წლის შემდეგ აფრიკისა და ინდოეთის შეჯახების შედეგად დედამიწაზე უდიდესი მთები გაჩნდება

9

ახალი წლის ოპტიმიზმით სავსე ციტატები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II:

„ძმანო და დანო, გილოცავთ ახალ წელს. ყოველ ახალ წელიწადს მე გპირდებით თქვენ სიახლეს, მაგრამ პრობლემები მაინც რჩება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ წინაგანჭვრეტა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რეალურად: არსებობს სიძნელეები და ჩვენ უნდა გვქონდეს უნარი, რომ დავძლიოთ ეს წინააღმდეგობები.

არ უნდა შევუშინდეთ სიძნელეებს, სიძნელე მოდის და მიდის; ასევე, სიხარული მოდის და მიდის. ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები, სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავვარდეთ; ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს და არა მარტო მატერიალურად, არამედ სიტყვიერადაც. განსაკუთრებით ვლოცავ იმ ადამიანებს, რომელნიც არიან საავადმყოფოში და ციხეებში, გაჭირვებაში. ჩვენი ახალგაზრდობა, ბავშვები უნდა დავლოცოთ. დედისა და მამის მიერ დალოცვილი ბავშვები მართლა ბედნიერი იქნებიან; განსაკუთრებით ვლოცავ ჩემს ნათლულებს, ჩემი ნათლულები უნდა გამოირჩეოდნენ მომავლის რწმენით, სარწმუნოებით, ლოცვით. მომავალი საიმედო უნდა იყოს ჩვენთვის, უნდა გახსოვდეთ, რომ მომავალი ჩვენია, გისურვებთ ჯანმრთელობას პირველ რიგში, ღმერთმა დაგლოცოთ, კურთხევა უფლისა თქვენ ზედა, მისითა და მადლითა და კაცთმოყვარებითა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნისამდე, ამინ“!..

„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“ — ჩვენ ვკითხულობთ ამას ბიბლიაში.

უფროსების პატივისცემას მოაქვს ბედნიერება უმცროსებისთვის. უნდა ვისწავლოთ მოსმენა ერთმანეთის. მე მინდა, ვისარგებლო ამ შემთხვევით და მივმართო რუსეთის პრეზიდენტს, ბატონ ვლადიმერ პუტინს, უნდა დამთავრდეს ოკუპაცია აფხაზეთისა და ცხინვალისა. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო არის წილხვედრი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, ბედნიერებას გისურვებთ. კურთხევა უფლისა თქვენ ზედა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს, უნდა დამთავრდეს ოკუპაცია აფხაზეთისა და ცხინვალისა!

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:

ახალ წელს სურვილების ასრულების იმედით ვხვდებით და პირველ რიგში, ვისურვებდი, რომ ამ ახალ წელს საერთო მშვიდობა და პანდემიის დასასრული მოეტანოს დედამიწაზე, რათა ადამიანები მთელ მსოფლიოში დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას და ჩვენც ყველამ შევძლოთ ვიყუროთ წინ, ვიფიქროთ მომავალზე, განვითარებაზე, აღმშენებლობაზე, განახლებაზე, ახალი ამბიციური პროექტების განხორციელებაზე.

ჩვენს ქვეყანას გასულ წელს წინსვლა არ შეუჩერებია არც ერთი წუთით და სერიოზული მიღწევები გვქონდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და მეტი წარმატებისთვის, ჩვენ გვჭირდება მმართველობის ახლებური მიდგომა, რაც პროგრესსა და სწრაფ განვითარებას გულისხმობს ყველა მიმართულებით. ამ ახლებურ შემართებას გაბედული და დროული გადაწყვეტილებები სჭირდება და ჩვენც ახალ წელს სწორედ ამ მიდგომით დავიწყებთ.

2022 წელი კიდევ უფრო ძლიერ ბიძგს მისცემს ჩვენს საქმიანობას. პირველ რიგში, ეს იქნება ეკონომიკის მიმართულება. გასული წელი წარმატებული იყო, მოსალოდნელზე უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო აღდგენა ეკონომიკამ და ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო გამორჩეული ლიდერია არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელი ევროპის მასშტაბით, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით, ჩვენ მეტი გვჭირდება, კიდევ უფრო სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა უნდა მოვუტანოთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს. მომავალ წელს ჩვენ შევქმნით ახალ სამუშაო ადგილებს, უნდა შევამციროთ სიღარიბე, განვითარება და პროგრესი გვექნება ყველა მიმართულებით, ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ხვალინდელი დღე გახდეს უკეთესი.

ეკონომიკურად ძლიერი და გამთლიანებული საქართველო, ძლიერი ქართული სახელმწიფო — ეს უნდა გახდეს ჩვენი მთავარი მიზანი. ეს შესაძლებელია და ჩვენ ეს შეგვიძლია! ჩვენი ერთობით, თანმიმდევრული და თავდაუზოგავი შრომით, საქართველო აუცილებლად გახდება ასეთი სახელმწიფო!...

ახალ წელს ახალი იმედები მოაქვს ყოველთვის და სწორედ ამ იმედით მინდა მივულოცო ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს 2022 წლის დადგომა. მთელი გულით ვისურვებდი, რომ ეს წელი გარდამტეხი ყოფილიყოს ჩვენი ურთიერთობების დაახლოების კუთხით და მალე განვითარებულ და გამთლიანებულ საქართველოში გვეცხოვროს ერთად.

ახალი წელი და მომავლის იმედი გვაძლევს რწმენას და ძალას, რათა უფრო მეტი შემართებით, თავდადებით, გულწრფელობითა და სიყვარულით ვემსახუროთ ჩვენს ძვირფას სამშობლოს!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

ვისურვებდი, წელსვე შევძლოთ ერთმანეთის მოსმენა, აზრების გაზიარება. იმედიანად ვარ, რადგან ერთი რამ მაინც დავამტკიცეთ, რომ ყველას შეუძლია პრეზიდენტის სასახლეში მოსვლა და ერთმანეთთან საუბარი, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა საახალწლო მილოცვაში განაცხადა. პრეზიდენტმა მოქალაქეებს ბედნიერი ახალი წელი უსურვა.

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ? რა მოვუსურვოთ ჩვენს თავს?“ — კითხულობდა 124 წლის წინ ილია და დღესაც მინდება იგივე კითხვის დასმა. ამ საახალწლო, ტრადიციული მოლოცვის მაგიერ, მინდა, მოგასმენინოთ არა ჩემი, არამედ ჩვენი შვილების ხმა...

მე ვარ მარი, 9 წლის. მყავს ორი ძმა. ვართ სოციალურად დაუცველები. არასდროს არ მითხოვია არაფერი. მინდა ნაძვის ხე, არ მაქვს. თუკი გაქვს საშუალება და გამახარებ, კარგი იქნება. თუ არ გექნება, რითიც გამახარებთ მადლობელი ვიქნები. სოფელი დირბი.

გამარჯობა. მე ვარ ვაკო, 7 წლის. მყავს პატარა დაიკო. ვართ დევნილები და სოციალურად დაუცველები. ძალიან გთხოვთ, კეთილ ადამიანებს, შეგვისრულეთ მე და ჩემს დაიკოს სურვილები. თქვენი იმედი მაქვს და დაგელოდებით. მჯერა, ამისრულებთ ნატვრას. ქალაქი გორი.

მე ვარ ნინი, 5 წლის ვხდები 5 მარტს. ვარ დევნილი. ძალიან მინდა, რომ თოვლის პაპამ მომიტანოს სამზარეულო. წინა წელსაც ველოდებოდი სამზარეულოს, მაგრამ არ მომიტანა. ქალაქი გორი.

არ ვიცი, თუ გაქვთ საშუალება, რომ ჩვენც გაგვახარო. მაგრამ მაინც მაქვს იმედი. მე ვარ აკო, 11 წლის. მყავს ძმა 4 წლის და და ნანკა წლის და 6 თვის. ვართ სოციალურად დაუცველები და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები. რისი საშუალებაც გექნება, ყველაფერი გაგვიხარდება. განსაკუთრებით, ჩემი ძმა გაიხარებს თქვენი დანახვით. გელოდ დიდი სიხარულით. სოფელი დირბი.

მე ვარ ანა, 11 წლის. ვარ სოციალურად დაუცველი. მინდა, თოვლის პაპამ გამახაროს და მომიტანოს პლანშეტი, დედა ვერ ყიდულობს, მყავს და-ძმა. ძმას აქვს ლეიკემია. ძალიან გვიჭირს, რადგან ძალიან ბევრი თანხა სჭირდება მის მკურნალობას. სოფელი ქიწნისი.

მე ვარ დათუნა, 8 წლის. ვართ სოციალურად დაუცველი. მინდა, რომ მომიტანო ტელეფონი თუ შეგიძლია, რადგან კომპიუტერი გამიფუჭდა და ონლაინგაკვეთილებზე ვერ ვერთვები. მეც მინდა, რომ ვისწავლო თანატოლებივით. სოფელი ქვეში.

ამ ბავშვებს შევუსრულეთ ეს საახალწლო სურვილები, მაგრამ ბევრ სხვას ვერა და კიდევ მეტს ვერც შევუსრულებთ დიდხანს. ილიასი არ იყოს, ქვეყანა დგას უზარმაზარი თხრილის წინ, „და საკმაოა ხელი გვკრან, გადავიჩეხებით“.

ოღონდ ილიას წუხილი უცოდინრობა, შრომის ნაკლებობა, მიზნის დაკარგვა თუ იყო... ჩვენ დღეს უარესი გვჭირს: ერთმანეთი დავკარგეთ, ერთმანეთს ვეჯიკავებით ამ თხრილისკენ, მტერიც აღარ გვჭირდება რომ ხელი გვკრას, მის საქმეს ჩვენვე ვაკეთებთ და ერთმანეთს ვკრავთ ხელს. უკიდეგანო შური და ბოღმა, სიძულვილი და დაპირისპირება, მოკლევადიანი გეგმები და კიდევ უფრო მოკლემჭვრეტელი ხედვა, სამაგიეროდ, გრძელვადიანი და უსაფუძვლო ამბიციები!

ამ დღეებში ჩემი მთელი ძალისხმევა და რასაც მომავალ წელსაც გავაგრძელებ (და სანამ ამ თანამდებობაზე ვიქნები, რამეთუ ამ თანამდებობაზე მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის ვარ) მიმართულია იმისკენ, რომ როგორმე ერთმანეთთან მისასვლელი გზა თუ გზები მოვნახოთ. მოვახერხოთ, რომ ერთმანეთის მოსმენით, საუბრით და არა შუღლით მოვახერხოთ ამ ქვეყნის გადარჩენა. ჩემი ამოცანაც ესაა — ქვეყნის ხვალინდელი დღისთვის მოვნახოთ ეროვნული თანხმობის გზა. არა როგორც ზოგზოგიერთი ავრცელებს, რომ ვითომც ეს ერთი რომელიმე ადამიანის გათავისუფლებისთვის კეთდება — არა! არა იმისთვის, რომ ვიღაცისთვის და ვიღაცასთან შერიგება მოვახერხო — არა! ეს იმისთვის კეთდება, რომ ჩვენ შევძლოთ ერთმანეთის მოსმენა და ერთმანეთთან შევთანხმდეთ იმ რაღაცეებზე, რაც ამ ქვეყანას ააშენებს, რაც ამ ქვეყანას არა თუ გადაარჩენს, მაგრამ მოგვცემს საშუალებას, რომ ხვალინდელ ანას და სხვებს არა თუ შევუსრულოთ სურვილები, არამედ მომავალ წელს და შემდეგ წლებში არასოდეს ვთქვათ: — რით გაგახაროთ?

გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს! ამ ქვეყნისათვის კი ვისურვებდი, რომ ამ წელსვე შევძლოთ ამ დიდი სურვილის ასრულება, შევძლოთ ერთმანეთის მოსმენა, შევძლოთ ერთმანეთისთვის აზრების გაზიარება! იმედიანად ვარ, რადგან ამ დღეებში ერთი რამ მაინც დავამტკიცეთ, რომ ყველას შეუძლია ამ სასახლეში მოსვლა, ამ სასახლეში დაჯდომა და ერთმანეთთან საუბარი! გილოცავთ დღევანდელ დღეს!“.



დედაქალაქის მერი კახა კალაძე:

„ჩვენ, ყველას ერთად გლობალური პანდემიის წესებით მოგვიწია ცხოვრება. უკვე გავიარეთ ახალ რეალობასთან ადაპტაციის რთული ეტაპები. სოლიდარობამ, ექიმების თავდადებამ, საჯარო მოხელეთა ძალისხმევამ, საპატრულო პოლიციის 24-საათიანმა საქმიანობამ, თბილისის მერიის ყველა უწყების თავდაუზოგავმა შრომამ და თითოეული ჩვენგანის უკეთესი მომავლის რწმენამ მოგვცა ძალა, ეს მძიმე პერიოდი გადაგვეტანა, არ დავნებებულიყავით და დღეს უკვე ყველა იმედით შევყურებთ ახალ, 2021 წელს. ჩემო საყვარელო ხალხო, მინდა მთელი გულით მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, გისურვოთ პირველ რიგში, ჯანმრთელობა და ბედნიერება. ჩვენ ერთად ვართ, სოლიდარულები ვართ და ყველა ერთად, ყველა სირთულეს დავძლევთ. საქართველოს ბევრი განსაცდელი გადაულახავს და არ დაცემულა — ფერფლიდან აღმდგარა და ახალი სიცოცხლე დაუწყია. მომავალი წელი იქნება აღდგენის, განახლების და გაძლიერების წელი! მეგობრებო, ჩვენს ერთად ყოფნას, მომავლისკენ სვლას ვერაფერი შეაჩერებს. გილოცავთ დიდი სიყვარულით და ოპტიმიზმით სავსე გულით! ყველაფერი ცუდი წარსულში დავტოვოთ, ახალ წელს შევეგებოთ იმედით და რაც მთავარია, ერთმანეთის სიყვარულით. გილოცავ საქართველოვ, გილოცავ ჩემო თბილისო! გილოცავთ ჩემო უსაყვარლესო ხალხო! მრავალჟამიერ“.

კელი დეგნანი: 2022-ში აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლის იუბილესაც ვიზეიმებთ!

აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა და მისმა მეუღლემ დუგლას მორისმა საქართველოს ახალი წელი და ბედობა ვიდეომიმართვით მიულოცეს. ამერიკის ელჩმა ისაუბრა როგორც საელჩოს 2022 წლის გეგმებზე, ისე პირად სურვილებზეც.

კელი დეგნანმა თქვა, რომ ამერიკის საელჩოს 2022 წელსაც დიდი გეგმები აქვს. პირველ რიგში, 2022 აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობაში საიუბილეო წელია, რადგან ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობას 30 წელი უსრულდება.

იმ მრავალ პროგრამას, აცხადებს კელი დეგნანი, რომლითაც აშშ ცდილობს საქართველოს გაძლიერებას თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით, ასევე საქართველოს ეკონომიკურ წისვლის ხელშეწყობას, სხვა არაერთი პროგრამაც დაემატება:

> **„ჩვენი საელჩოს გუნდი დაეხმარება საქართველოს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის სკოლის გახსნაში, ასევე საბავშვო საავადმყოფისთვის ვგეგმავთ დახმარებას სამედიცინო აღჭურვილობით. დაგეგმილია სახლების მშენებლობა მთაში მცხოვრები ხანში შესული ადამიანებისათვის“.**

აშშ-ის ელჩმა და მისმა მეუღლემ ვიდეომიმართვაში ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ მათ სურთ ქუჩის ძაღლებზე ზრუნვაც და იმედი გამოთქვეს, რომ გამოიძებნება ისეთი ოჯახები, ვინც იგივეს გააკეთებს. ამ სიტყვების თქმის დროსაც მათ ხელში სწორედ ქუჩაში მცხოვრები ორი ასეთი ძაღლი ეჭირათ.

პირად საახალწლო სურვილებზე საუბრისას, კელი დეგნამმა ასევე თქვა, რომ 2022 წელს, ის ეცდება იყოს უფრო კეთილი და თანაგრძნობით სავსე მასზე ნაკლებად იღბლიანი ადამიანების მიმართ და ამისკენ სხვებსაც მოუწოდა.

ირაკლი კობახიძე: აშშ-ის საელჩოს განცხადებაში არაერთი უზუსტობაა!

პარტნიორებისგან ხშირად ვიღებთ რჩევებს და რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ. სამწუხაროდ, არის ხოლმე გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მათი მხრიდან არასამართლიან შეფასებებს ვისმენთ, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონთან დაკავშირებით საქართველოში აშშ-ის საელჩოს გაგცხადების შეფასებისას აღნიშნა.

როგორც კობახიძე ამბობს, ასეთი განცხადებები არყევს ქართველი საზოგადოების ნდობას დასავლელი პარტნიორების მიმართ.

„ჩვენ ჩვენს პარტნიორებთან გვაქვს 30-წლიანი ძალიან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება. ძალიან ხშირად ჩვენ ვიღებთ ხოლმე მათგან რჩევებს და რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ. სამწუხაროდ, არის ხოლმე გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მათი მხრიდან ვისმენთ არასამართლიან და არასწორ შეფასებებს. ეს არის ამისი მორიგი მაგალითი. სამწუხაროდ, ასეთი განცხადებები არყევს ქართველი საზოგადოების ნდობას დასავლელი პარტნიორების მიმართ, რაც არ არის კარგი და ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ. ჩვენ ვიცით, რომ არის ხოლმე ადამიანური შეცდომები, არასწორი ინფორმაცია და ასე შემდეგ, თუმცა რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის ეს არ არის არც ახსნა და მით უმეტეს არც გამართლება. შესაბამისად, ბუნებრივია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების სათანადო ინფორმირება მოვახდინოთ“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი კობახიძის თქმით, აშშ-ის საელჩოს განცხადებაში ფაქტობრივი უზუსტობებია. კობახიძემ აღნიშნავს, რომ განცხადებაში საუბარია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებაზე. პარტიის თავმჯდომარე ამბობს, რომ სამსახური კი არ გაუქმდა, არამედ ორ ნაწილად გაიყო...

სააკაშვილის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი ბუნებაში არ არსებობს!

შეიძლება, ვიფიქროთ სააკაშვილის საქმეზე კომისიის შესაქმნელად ხმების შევსებაზე, ერთი მარტივი მიზეზის გამო, კომისია ძალიან მარტივად დაადგენს არასათანადო მოპყრობის არარსებობას, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

„სპონტანურად რომ გიპასუხოთ, შეიძლება მე, პირადად არ ვყოფილიყავი ასეთი კომისიის შექმნის წინააღმდეგი; როდესაც საუბარია სააკაშვილის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე, ყველამ ვიცით, რომ ამას არავითარი საფუძველი არა აქვს; რა თქმა უნდა, თუ ასეთი კომისია შეიქმნება, მხოლოდ და მხოლოდ ის დადგინდება, რომ არავითარ არასათანადო მოპყრობას ადგილი არ ჰქონია“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი კობახიძემ. ამასთან, შეკითხვაზე, შეგროვდება თუ არა ოპოზიციის 50 ხმა კომისიის შესაქმნელად და ექნება თუ არა მმართველი პარტიის მხარდაჭერა ამ წინადადებას, კობახიძემ აღნიშნა, რომ ამაზე იმსჯელებენ.

„ჩვენ ამაზე ვიმსჯელებთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩემი პირადი პოზიციაა, შეიძლება ეს არც იყოს ცუდი, აქედან გამომდინარე შეიძლება, ვიფიქროთ ამ ხმების შევსებაზეც კი, ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ ძალიან მარტივად დაადგენს ეს კომისია არასათანადო მოპყრობის არარსებობას. ამისთვის არის დრო თებერვლამდე, თებერვალში გაიხსნება პარლამენტის მორიგი სესია; მანამდე გვექნება მსჯელობა და მივიღებთ გადაწყვეტილებას“, – განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, ჟურნალისტებმა ირაკლი კობახიძეს შეკითხვა დაუსვეს „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ბოიკოტს შეწყვეტს და პარლამენტს დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ მიხეილ სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისია შეიქმნება.

„არ გვაინტერესებს მათი განცხადებები; მათ შეუძლიათ, ულტიმატუმებიც დააყენონ, დაუყენებიათ კიდეც წარსულში, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი და ვიმოქმედებთ დღის წესრიგის შესაბამისად, რაც იქნება საჭირო საქმისთვის, გავაკეთებთ მხოლოდ და მხოლოდ იმას...

წელი – ახალი, ფირფიტა – ძველი

ჩვენ მთელ რიგ საერო და რელიგიურ დღესასწაულებს წელიწადში ორ-ორჯერ ვზეიმობთ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ერთ-ერთი მათგანი გაცილებით მეტჯერ უნდა გამოვაცხადოთ უქმეებად.

ალბათ მიხვდით – საუბარია ახალ წელზე, როცა სატელევიზიო ეთერიდან სადეზინფორმაციო ნიაღვარი არ იფრქვევა და ისედაც ფსიქოლოგიურად და ფინანსურად დაზაფრული მოსახლეობა რამდენიმე დღით მაინც დაზღვეულია თეთრის შავად წარმოჩენით გამოწვეული იდეოლოგიური ტერორისაგან.

აბა, წარმოიდგინეთ, როგორი ბედნიერებაა, როცა ცისფერი ეკრანი არ ბინძურდება ისეთი ცნობებისგან, რომელიც სისტემატურად გვაუწყებს, თუ განვლილი 24 საათის განმავლობაში, ბოდიში და, რამდენჯერ გაიჭინთა მესამე პრეზიდენტი, როგორია მისი განახლებული ანალიზები, რამდენად საფუძვლიანია ბავშვობიდანვე თეთრი ბილეთის მფლობელი ფიურერის შეურაცხადობის შესახებ გამოთქმული ეჭვები, ძალადობენ თუ არა რუსთავის ციხეში ფსიქოტროპული წამების ელემენტების გამოყენებით დაბრუნებულ ტუსაღზე თეთრხალათიანები თუ პენიტენციური სისტემის თანამშრომლები...

თავისთავად, პანდემიის მეხუთე ტალღის მძვინვარების ჟამს დროებით მეორე პლანზე გადაიწია მასობრივ შიმშილობაში ჩაბმულ კერპთაყვანისმცემელთა თემამაც, მაგრამ განა ვინმეს ხანგრძლივად გაახარებს წუთისოფელი?

გათენდა 3 იანვარი და „მთავარის“ დილის დაიჯესტმა ჩვეული ბოღმით დაიქუხა – რა დროს დადიანების სასახლის ბაღში ბალ-მასკარადის მოწყობაა, როცა ბაგრატის შემდეგ გელათიც თავზე გვენგრევა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **თეა წულუკიანი,** რომელსაც ჯერჯერობით ხელოვნების მუზეუმის რესტავრაციისა და იქ დავანებული ეროვნული განძის შემადგენელი ექსპონატების განთავსების საკითხი ვერ მოუგვარებია, სანაპიროს ქუჩის №4-ში 5-მილიონიანი რემონტის დაწყებას აპირებსო. ეტყობა, გადადგომის შემდეგ ნაც-გადმონაშთთათვის საძულველი ჩინოსანი განახლებულ დერეფნებსა და კაბინეტებს ზურგზე მოიკიდებს და სახლში წააცუნცულებს, თორემ რა მუცლის გვრემა აუტყდათ ამ არამკითხე კრიტიკოსებს, ყველაფრიდან რომ სკანდალის გამოდნობას ცდილობენ?

ეეჰ, შობამდე მაინც ეღლაბუცათ და მოფრთხილებოდნენ საზოგადოების ნერვებს.

გია პლატონიშვილი

საბაზრო თაღლითობის საიდუმლოებანი!

რა კავშირშია აშშ-ის „შავ სიაში“ მოხვედრილი ქართული კომპანიები სსტც „დელტას“ უფროს სპეციალისტთან?

საქართველოში და თურქეთში რეგისტრირებული სამი კომპანია, ROV Solutions, SAEROS Safety ERO Company და Gensis Engineering, რომლებსაც აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს უსაფრთხოებისა და მრეწველობის ბიურომ (BIS) სანქციები დაუწესა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ წამყვან სპეციალისტს, ლევან კოტიაშვილს და მის მეუღლეს ეკუთნით. დირექტორი კი ლევან კოტიაშვილის შვილია.

ROV Solutions და SAEROS Safety ERO Company-ის იურიდიულ მისამართად, თბილისში, კოტიაშვილების საცხოვრებელი სახლის მისამართია მითითებული – იოსელიანის 2. BIS-ის ცნობით, ამ მისამართს იყენებს Gensis Engineering-ის ქართული ფილიალიც, თავად Gensis Engineering კი თურქეთში, სტამბოლის რაიონში, პენდიკშია რეგისტრირებული, ასევე საცხოვრებელ სახლში.

„ჩემი პარტნიორი ამ კომპანიებში იყო ირანის მოქალაქე, სახელად გოჩინ, გვარი არ მახსოვს, მას ჰქონდა ტურისტული სააგენტო. იგი უბრალოდ კომპანიების სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არ ჩანდა, თუმცა წლებია მათთან ურთიერთობა არ მქონია“ – გვითხრა ლევან კოტიაშვილმა.

ჩვენს კითხვაზე, შესაძლებელია, თუ არა, რომ ამ ფიქტიური კომპანიების საფარქვეშ შესრულებულიყო უკანონო ოპერაციები – ირანის თავდაცვის ძალების სასარგებლოდ, კოტიაშვილმა გვიპასუხა – **„ალბათ, შეიძლება, იმათ, თუ რამე აწარმოეს ან გააკეთეს უჩემოდ ამ კომპანიებით, ეს არ ვიცი“.**

იხ. 11 გვ.

„ბიჭი მიშა“ ნაცებს არ აწყობთ!..

როგორ აპროტესტებდა მერაბ კოსტავა ციხეში ფსიქიკურად დაავადებულის იარლიყის მიწებებას, სააკაშვილის ახლობლები კი გამუდმებით მიშას ფსიქიკური დაავადებით აპელირებენ

ორი ადამიანი და ორი განსხვავებული დამოკიდებულება ფსიქიკური პრობლემების იარლიყთან დაკავშირებით. როგორ იქცეოდა მერაბ კოსტავა და რატომ ერცხვინებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ შეუპოვარ ლიდერს, გაუტეხელი სულის ადამიანს მისი პატიმრობის ხელოვნურად დაკავშირება ფსიქიკურ მდგომარეობასთან.

მერაბ კოსტავას ბიოგრაფიაში არის ერთი დეტალი, როცა მან 1977 წელს წერილი მისწერა **ალექსი ინაურს,** საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, რადგან შეიტყო, როგორ აპირებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მის გაგზავნას გამოსაკვლევად.

„ჩემთვის ცნობილია, რომ არაერთი ჯანმრთელი დისიდენტი გაუგზავნიათ ამგვარ გამოკვლევაზე და შემდეგ ავადმყოფად შეურაცხავთ ისინი. მაგალითად, ლეონიდ პლიუშჩი, ა.გრიგორენკო, ვ. გრინბერგი და ა.შ.

პრიმიტიული ლოგიკაც კი საკმარისია მისახვედრად, სახელდობრ, სხვაგვარად მოაზროვნეებს რად ხვდენიათ ხოლმე ჩვენში ამგვარი ხვედრი. რატომ მაინცდამაინც დისიდენტები გამოდიან ფსიქიატრიულად დაავადებულები? რატომ ერთხელაც არ მოგსვლიათ აზრად, უშიშროების რომელიმე მუშაკი გაგეგზავნათ ექსპერიმენტისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? დისიდენტებს იმიტომ ეკერებათ ფსიქიკურად დაავადებულის იარლიყი, იდეოლოგიური სტანდარტიდან გადახვევას რომ ვერ იტანს ჩვენი ოფიციალობა. მე ვხედავ საშიშროებას, არც მე არ ამცდება ზემოთქმულ პირთა ხვედრი. უშიშროების კომიტეტის ასეთ გადაწყვეტილებას პროტესტით ვპასუხობ, რადგან ზემოხსენებულ სამედიცინო პროცედურაში ვხედავ აშკარა ნეგატიურ მიკერძოებას დისიდენტების მიმართ“, — სწერდა მერაბ კოსტავა ალექსი ინაურს.

თუკი საბჭოთა სისტემა დისიდენტების წინააღმდეგ ფსიქიატრიულში გამოკეტვის მეთოდს იყენებდა და ანტისაბჭოთა მენტალობის ადამიანები მათ წინააღმდეგ ამ იარლიყის გამოყენებას აპროტესტებდნენ, დღეს ფსიქიკური პრობლემებით აპელირება ერთადერთ მისაღებ გამოსავლად მიაჩნიათ სააკაშვილის ახლობლებს. ისინი გამუდმებით ცდილობენ, ფსიქიკური პრობლემები მოიშველიონ სააკაშვილის გასათავისუფლებლად. იმ დროს, როცა დამოუკიდებელი ფსიქიატრები გამორიცხავენ სააკაშვილის ფსიქიკურ პრობლემებს და აცხადებენ, რომ ვერ ხედავენ სააკაშვილის ფარმაკოლოგიური წამების ნიშნებს, რადგან პაციენტი სააკაშვილი ზოგიერთი წამლის დოზის გაზრდას თვითონვე ითხოვდა, სააკაშვილის ახლობელი მედიკოსები დაჟინებით ირწმუნებიან, რომ პატიმარ სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა ციხეში ყოფნისას დაზიანდა. ამის გამო „გამოიკვეთა ნეიროპათია, რაც გამოიხატება იმაში, რომ სააკაშვილს უჭირს გადაადგილება, ვერ გრძნობს იატაკს, მთელი რიგი მგრძნობელობითი მოშლილობები აქვს. ვინაიდან ვერ-ნიკეს ენცეფალოპათია სააკაშვილის კლინიკურ სურათში წამყვანია, შეიძლება მოხდეს მისი გადასვლა კორსაკოვის სინდრომში, რომელიც სერიოზული დაავადებაა, რისთვისაც სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებაა საჭირო“. ასეთი დაწესებულება კი, სააკაშვილის მკურნალთა თქმით, საქართველოში არ მოიპოვება.

„სახალხო პარტიის“ ლიდერი **მამუკა გიორგაძე** აცხადებს, რომ სადამსჯელო ფსიქიატრია საბჭოთა კავშირში განვითარებული იყო. იყვნენ ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები, რომლებმაც თეორიულად დაამუშავეს ეს საკითხი. ერთ- ერთი ასეთი „ცნობილი აკადემიკოსი“ **ანდრეი სნეჟევსკი** იყო, რომელმაც „დაადგინა“, რომ საზოგადოებრივად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესისგან გადახვევა ეს არის შიზოფრენიის გამოხატულება და ადამიანის გაორება. დავუშვათ, ადამიანი ფიზიკოსია, მაგრამ, ამავდროულად, წერს ლექსებს, ეს თურმე ყოფილა გაორება, რომელსაც უნდა უმკურნალონ.

„მოგეხსენებათ, დისიდენტთა უმეტესობა ნიჭიერი ხალხი იყო, საზოგადოებრივად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესისგან გადახვევა-გაორების მოტივაციით და საბაბით მათი უმეტესობა ფსიქიატრიულში ამოყოფდა ხოლმე თავს, რადგან ხელისუფლებას არ აწყობდა მათი გასამართლება. ცნობილი რუსი დისიდენტი **ვლადიმერ ბუკოვსკი** ებრძოდა ამ მანკიერ სენს, დისიდენტებისთვის მიუღებელი იყო სადამსჯელო ფსიქიატრია და ამან გამოიწვია ის, რომ საბჭოთა კავშირის ფსიქიატრთა ასოციაცია გარიცხეს საერთაშორისო ფსიქიატრთა ასოციაციიდან. დაიგმო ეს სენი, რაც სამარცხვინოდ ითვლებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ფსიქიატრიის გამოყენებით სასჯელის არიდებას ცდილობდნენ კრიმინალები. ისინი ფულს იხდიდნენ იმისთვის, რომ ფსიქიატრიულში რამდენიმე ხანი გაეტარებინათ, რათა შემდეგ ექიმების დასკვნის საფუძველზე პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლებულიყვნენ, თეთრი ბილეთი აეღოთ და ციხიდან გასულიყვნენ. კრიმინალები ამით სარგებლობდნენ, მაგრამ დისიდენტები პროტესტს აცხადებდნენ ამაზე.

სერბსკის სახელობის ინსტიტუტში გამოკვლევაზე მიჰყავდათ დისიდენტები და ყველა დისიდენტი პროტესტს აცხადებდა სადამსჯელო ფსიქიატრიის გამოყენებაზე, სამარცხვინოდ და საბჭოთა სისტემის სიდამპლის კიდევ ერთ გამოხატულებად მიაჩნდათ იგი“, — აღნიშნა მამუკა გიორგაძემ და განმარტა, დღეს, როცა სააკაშვილის ახლობლები ცდილობენ მიშას ფსიქიკური პრობლემებით აპელირებას, ბარემ გამოაცხადონ ის ასეთად, შესაბამისი მკურნალობა დაუწესონ და თვითონაც მოისვენებს და ჩვენც.

ანალიტიკოსი **ლევან ნიკოლეიშვილი** მიიჩნევს, რომ „ხერხემალი“ ბიძის მეშვეობით „ნაცმოძრაობაში“ მოიფიქრეს ვერსია, თითქოს სააკაშვილი ფსიქიკურად ცოტა ვერ არის და საბოლოოდ ამით ცდილობდნენ, უკან არ დაბრუნებულიყო რუსთავის დაწესებულებაში.

„რამდენიმე ვერსია იყო „ნაცმოძრაობის“ თავსა და ტვინში და „ხერხემალი“ ბიძის მეშვეობით ერთ-ერთი ვერსია, რაც მათ მოიფიქრეს, იქნებ, გიჟად შევრაცხოთო. რამდენიმე კონსილიუმის დასკვნა იყო ამის თაობაზე, რომ ფსიქიკურად ცოტა ვერ არის, მაგრამ არც ისე შტერები არიან იმისთვის, ვერ მიხვდნენ იმას, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს. შესაძლოა, კიდევ საერთაშორისო მედიკოსები და ექსპერტები ჩაერიონ ამ საქმეში და სამუდამოდ ექნება მას ეს იარლიყი, რომ ფსიქიკურად შეშლილია. ეს დაასრულებს მის პოლიტიკურ კარიერას და თვითონ „ნაცმოძრაობისთვისაც“ არ არის კარგი მომენტი, რომ მათი ლიდერი გიჟი აღმოჩნდა!..

ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** კი აცხადებს, „მიშას სიგიჟეს რომ აწვებით და მაგით გინდათ მისი ქვეყნიდან გაყვანა — არ გამოგივათ არაფერი“!..

მარიამ ლოლაშვილი

ჩვენ - ევროპისკენ და, ევროპა - საითკენ?

„რასაკვირველია, ჩვენი ევროპული ორიენტაცია მტკიცე და ურყევია. მაგრამ ეს კი არ არის გასარკვევად საინტერესო, რადგან აქ ყველაფერი ერთმნიშვნელოვნად ნათელია, არამედ ეს: იქ რა ხდება, რა ორიენტაციისაა თავად ევროკავშირი? იქ ამბები ხდება, მართლაცდა — „ეშმაკმა თუ უწყის“!

მაგალითად:

სულ ახლახან, შობის წინ, ერთი ვაიუშველებელი მოჰყვა ევროკომისიის ოფიციალური პირებისა და პერსონალისათვის „ინკლუზიური კომუნიკაციების“ გასაუმჯობესებლად ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტის, რომლის ინიციატორი გახლავთ თანასწორობის საკითხებში ევროკომისარი ქნი ჰელენა დალი, განხილვას. დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ორ, მართლაცდა გამაოგნებელ ინიციატივას: კერძოდ, ამ სახელმძღვანელოთი, გენდერული თანასწორობის მოტივით, რათა არ იყოს უმცირესობათა დისკრიმინაცია, შეთავაზებული იქნა რეკომენდაცია, რომ ოფიციალური გამოსვლებისას მიმართვა: „ქალბატონებო და ბატონებო“ შეცვლილიყო გენდერულად ნეიტრალური და „პოლიტკორექტული“ მიმართვით: „ძვირფასო კოლეგებო“; ხოლო მეორე წინადადება ასევე უმცირესობების, ოღონდ ამჟამად იმ რელიგიური, ეთნიკური თუ კულტურული უმცირესობების, რომლებიც შობას არ აღნიშნავენ, ანდა შესაძლოა, სხვა კალენდრით (როგორც მაგ. ჩვენ) აღნიშნავენ, თანასწორ უფლებათა „დასაცავად“, სიტყვა „შობა“ საერთოდ ამოღებული ყოფილიყო შეცვლილიყო უფრო რელიგიურ-კულტურულად ნეიტრალური, „პოლიტკორექტული“ სიტვით, მაგალითად — „სადღესასწაულო დღეებით“.

გასაკვირი არ არის, რომ ამგვარ ინიციატივებს, თანაც, უშუალოდ შობის წინა დღეებში, მძაფრი აჟიოტაჟი მოჰყვა, რომის პაპმა ამას „იდეოლოგიური კოლონიზაცია“ უწოდა და ტოტალიტარული იდეოლოგიების -— ფაშიზმისა თუ კომუნიზმის კარგად ცნობილ ანტიქრისტიანულად მტრულ ნაბიჯებსაც კი შეადარა, მკაცრად გააფრთხილა რა ევროკომისიის მესვეურები, რომ შობა და ქრისტიანული ევროპა აუცილებლად დარჩება, მაგრამ ამ ნაბიჯებით ევროკავშირი შეიძლება დაინგრეს!

ამგვარი მძაფრი კრიტიკისა და აჟიოტაჟის გამო ევროკომისია იძულებული გახდა დოკუმენტის პროექტი უკან გაეხმო, თუმცა მასზე უარი არ უთქვამს და განაცხადეს, რომ დოკუმენტის მიზანი, დაცული იქნას „მულტიკულტურიზმი“ და „თანასწორობა“, უცვლელია. დოკუმენტი გადამუშავდება და ისევ დადგება დღის წესრიგში.

მოგეხსენებათ, მსოფლიოს და არა მარტო ქრისტიანული ევროპის საერო კალენდარი ქრისტიანულია და წელთაღრიცხვა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, როგორც წესი — საერთოდაც ქრისტეს შობიდან აითვლება. ამ, ე.ი. „მულტიკულტურიზმის“, „პოლიტკორექტულობის“, „ნეიტრალურობის“ და ა.შ. გზას თუ ევროკავშირში გაგრძელებენ, ადრე თუ გვიან, არა მარტო შობის, არამედ შობაზე დამყარებული საერო კალენდრის შეცვლაც მოუწევთ და არ გამიკვირდება, ახალი წელთაღრიცხვაც შემოიღონ. ვნახოთ. საღი აზრი, როგორც ჩანს, იკარგება და არაფერია გამორიცხული.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ? მერე, თუკი ევროპა ახალ წელთაღრიცხვაზე გადავა, რამდენი ახალი წელი გვექნება ანდა რამდენი შობა? ახალი წელი აშკარად სამი იქნება — ძველით, ახლით და უახლესით. შობა, იმედია, აღარ გასამდება. ხოლო თუ სერიოზულად შევხედვათ საკითხს, სახუმაროდ არა გვაქვს საქმე: ამჟამად ჩვენ თავში სახლელი საკმარისზე მეტი გვაქვს, ჩვენი დღის წესრიგით „პოლარიზებულად“, ისედაც მხიარულად ვცხოვრობთ და ამ „სახალისო“ ევროპული ამბებისათვის არა გვცხელა. წარმოიდგინეთ ახლა, ევროკავშირის წევრები ვყოფილიყავით და ჩვენი ჩინოვნიკებისათვის „ქალბატონები და ბატონებოს“ თქმა ანდა სიტყვა „შობის“ ხსენება ვინმეს აეკრძალა! აი, მერე გენახათ, რა არის ნამდვილი პოლარიზება და „მხიარულება“!

დიახ. ჭეშმარიტად: ჩვენ — ევროპისკენ, და ევროპა საითკენ? „ჩვენ — ევროპისკენ“ შეიძლება იმასაც ნიშნავს, თუ ევროპა ეშმაკისკენ გაერეკება, ჩვენი გადასარჩენი გახდება? ჩვენი თავი არ გვეყოფოდა, ახლა ევროპაც რომ გვეყუდნოდეს“?!

დავით ზარდიაშვილი

დიდი პატივია, იყო ფოთის საპატიო მოქალაქე!

ძვირფასო ფოთელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს! მეამაყება, რომ რამდენიმე თვის წინ თქვენი ქალაქის საპატიო მოქალაქე გავხდი!

ფოთს უდიდესი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. მან, როგორც უმნიშვნელოვანესმა სანავსადგურო ქალაქმა, ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოსთან დააკავშირა და დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი გახადა. მაგრამ რაც ყველაზე მეტად ამშვენებს ფოთს, ეს მისი თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. იმ დღიდან, რაც ქალაქის საზოგადოებამ საპატიო ფოთელის წოდება მომანიჭა, ფოთი ჩემი მეორე მშობლიური ქალაქი გახდა და თავს მოვალედ ვთვლი მისი ყოველდღიური ცხოვრების მონაწილე ვიყო, ვიზრუნო ამ ლამაზი ქალაქისთვის, გავიზიარო ყველა პრობლება, რაც მის მოსახლეობას აწუხებს და ხმა მივაწვდინო იმ უწყებებს, რომელთაც მათი გადაჭრა და მოგვარება ხელეწიფებათ.

ყველაზე დიდი პრობლემა, რაც იქაურ საზოგადოებას აწუხებს, მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემაა. რამდენიმე კომპანია შეეცადა ამ საქმის მოგვარებას, მაგრამ ამაოდ. თანამედროვე ქალაქი კი გამართული საკანალიზაციო სისტემის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია.

ასევე უდიდესი შეცდომა იყო საზღვაო-სამგზავრო ვაგზლის შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის საზღვაო ნავსადგურისთვის გადაცემა. აღნიშნული სივრცე ფოთელების დასვენებისა და გართობის უმნიშვნელოვანეს ადგილს წარმოადგენდა, ახლა მათ იქ შესვლა აღარ შეუძლიათ. სასურველია, ეს ადგილი კვლავ ფოთის მოსახლეობას დაუბრუნდეს. ამ საქმეში ქალაქის საზოგადოება შესაბამის უწყებებსა და ეკონომიკის სამინისტროს სთხოვს დახმარებას.

აგრეთვე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქ. ფოთში, უძველესი კულტურის ქალაქში, საზღვაო უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, რაც უდიდესი საჩუქარი იქნება არა მარტო იქაური მოსახლეობისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალგაზრდების ამ სპეციალობით მომზადებაში.

კიდევ ერთხელ ვულოცავ შობა-ახალ წელს მთელ საქართველოს, მათ შორის, ფოთის მოსახლეობას, ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებებს და ოჯახურ ბედნიერებას.

უღრმესი პატივისცემით,
ფოთის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
გიორგი კვესიტაძე

მეცნიერს ულოცავენ

საზოგადოება „კუს ტბა“ გულითადად ულოცავს საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოსს, საზოგადო მოღვაწესა და ღირსეულ მამულიშვილს, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერს, მრავალი პრესტიჟული პრემიისა და ჯილდოს მფლობელს ბატონ გიორგი (ოთარ) კვესიტაძეს ეროვნული (სახელმწიფო)პრემიის მინიჭებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას შემოქმედებით წარმატებებსა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

მეცნიერება, კულტურა, ცოდნა და შემოქმედება არის ის, რაც დღეს გვაერთიანებს!

საქართველოს პრეზიდენტმა საახალწლოდ საქართველოს ეროვნული პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის გამარჯვებულები დაჯილდოვა. პრეზიდენტმა ლაურეატებს სახელმწიფოს მიერ მათი შრომისა და ღვაწლის აღიარება მიულოცა, კომისიის თავმჯდომარეებსა და წევრებს კი, თავდაუზოგავი შრომისათვის მადლობა გადაუხადა.

„მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო კომისიის თავჯდომარეებსა და წევრებს მათ მიერ გაწეული ძალიან დიდი შრომისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ამ პროცესის მიმართ არანაირი კითხვა არ არსებობდეს.

მეცნიერება, კულტურა, ცოდნა და შემოქმედება — ეს არის ის, რაც დღეს გვაერთიანებს და ამდენად, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ დარგებისთვის რაში გაიცემა ეს პრემიები, არამედ სახელმწიფოსთვის, ამიტომ ვფიქრობ, რომ სამომავლოდ კიდევ უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ მივცეთ კიდევ მეტი წონა ამ პრემიებს, რათა კიდევ უფრო გამყარდეს ამ პრემიების მნიშვნელობა.

ეს პრემიები მართლა შევა ჩვენს ისტორიაში, როგორც სახელმწიფოს მიერ თითოეულ დარგში ამ ადამიანების ღვაწლის ძალიან მნიშვნელოვანი ნიშანი.

ეს თითოეული ნომინანტის პატივისა და ნდობის ნიშანი და მათი შემოქმედების და შრომის ძალიან დიდი აღიარებაა“...

* * *

2020 წელს საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭათ:

ალექსანდრე შენგელაიას — ნაშრომთა ციკლისთვის „მაღალტემპერატურული ზეგამტარებისა და დაბალგანზომილებიანი მაგნეტიკების ექსპერიმენტული კვლევა“;

გიორგი კვესიტაძეს, გია ხატისაშვილსა და თინათინ სადუნიშვილს — ნაშრომისათვის „დეტოქსიკაციის ბიოქიმიური მექანიზმები უმაღლეს მცენარეებში, ფიტორემედიაციის საფუძველი“.

* * *

2021 წელს საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭათ:

თედო გორგოძესა და **ნოდარ ხორბალაძეს** — სამეცნიერო-საცნობარო ნაშრომისათვის „ოფიცრის ატლასი“; **რამაზ ქაცარავას, დავით ტუღუშსა და ვახტანგ ბერიძეს** — სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისთვის „პოლიმერული ბიომიმეტიკები — ცილების ანალოგები მრავალპროფილიანი გამოყენებისათვის — დიზაინიდან კომერციალიზაციამდე“.

* * *

2021 წელს შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭათ:

მაყვალა გონაშვილს — ლექსების კრებულისათვის „ძახილი“, ორტომეული;

თეიმურაზ გოცაძეს — მონუმენტური ფერწერული კომპოზიციისათვის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე;

ვახტანგ კახიძეს — მუსიკალური ნაწარმოებისათვის „საშობაო ტრილოგია“ მამაკაცთა და ბიჭუნათა გუნდებისა და სიმფონიური ორკესტრისათვის;

ომარ ნაფეტვარიძესა და **გიორგი ჯაფარიძეს** — არქიტექტურული ნაწარმოებისათვის „ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი“;

რაულ ჩილაჩავას — ლექსების კრებულისთვის „ბედის ფორმულა“, შვიდწიგნეული.

* * *

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გულწრფელად ულოცავს ერის სახელოვან შვილთ უმაღლეს ეროვნულ პრემიებს და ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

მრავალ ახალ წელს, მშვიდობიან და გაერთიანებულ საქართველოში გელვაწოთ!

საზოგადოება „კუს ტბა“ ულოცავს საქართველოს სახალხო მხატვარს, თანამედროეობის ერთ-ერთ თვითმყოფად შემოქმედს, უკეთილშობილეს პიროვნებას, ფუნჯის დიდოსტატს, ჭეშმარიტ მამულიშვილს

თემო გოცაძეს

რუსთაველის პრემიის მინიჭებას და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

სურათზე: გუჯა ქავკასიძე, ირაკლი მელაძე, ოთარ კიკალიშვილი და იური ოსიპოვი

ძირძველ თბილისელს, ვაკის „კრუგის“ ბირჟის ერთ-ერთ ბოლო მოჰიკანს, კრივში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს და არაერთი პრესტიჟული შეჯიბრების გამარჯვებულს, ცნობილ მეწარმეს

ირაკლი მელაძეს

შეუსრულდა 85 წელი!

გილოცავთ და გისურვებთ ჯანმრთელობას!

ჯ. პატიაშვილი, ი. მეგრელიძე, ი. ოსიპოვი, გ. ცაგარელი, რ. გილიგაშვილი, ა. გოგელია, ნ. შენგელაია, ზ. კუპრაშვილი, დ. კვაჭაძე, გ. კოსტავა.

ბაგრატ ბადიდი „პოეზიის რაინდია“

ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატს, პოეტ ბაგრატ ბადიდს (ელგუჯატატო გელენავა) საქართველოს მწერალთა კავშირმა „პოეზიის რაინდის“ წოდება მიანიჭა.

ვულოცავთ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ გადასარჩენია!

გამოცემა POLITICO აქვეყნებს ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის სტატიას სახელწოდებით „რუსეთის შეთავაზებებთან დაკავშირებით ალიანსი არ უნდა დანებდეს“.

რასმუსენი მიიჩნევს, რომ უნდა დასრულდეს რუსეთის დე ფაქტო ვეტო საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე და მოუწოდებს ნატოს, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რათა შესრულდეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე დადებული პირობა, რომლის თანახმად, საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები.

მისივე თქმით, ნატოს არ შეიძლება ჰქონდეს „ღია კარის“ ისეთი პოლიტიკა, როდესაც კარისკაცი პუტინია. „აქცენტი“ რასმუსენის სტატიის სრულ თარგმანს გთავაზობთ:

ანდერს ფოგ რასმუსენი: პუტინის ტაქტიკას „ბლეფი“ უნდა ვუწოდოთ!

„დროა, დავასრულოთ პუტინის დე ფაქტო ვეტო და ჩამოვაყალიბოთ სამოქმედო გეგმა ბუქარესტში გაცემული დაპირების განსახორციელებლად“

„როდესაც ნატოს გენერალური მდივნის რანგში პირველად შევხვდი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს, მან ჩვენი შეხვედრა ალიანსზე საუბრით დაიწყო და პირველი, რაც მითხრა, იყო ის, რომ ნატოს დაშლა სურდა.

თუ ნატოს მოკავშირეები ევროპაში უსაფრთხოების ახალი ურთიერთობის შესახებ რუსეთის შეთავაზებებს მიიღებენ, ისინი პირდაპირ დაეხმარებიან პუტინს, დაუახლოვდეს დასახული მიზნის მიღწევას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებაზე კონტროლის მოპოვების გზით.

რუსეთის ახალი შეთავაზებების თანახმად, ნატომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ჯარების განთავსების საკითხი მოსკოვს უნდა შეუთანხმოს. გარდა ამისა, ალიანსმა თავი უნდა შეიკავოს „ნებისმიერი სამხედრო აქტივობისგან“ აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში და რუსეთის მახლობლად წვრთნების გამართვა შეაჩეროს.

ამასთან, მოსკოვი მოითხოვს წერილობით გარანტიას, რომ უკრაინას არ შესთავაზებენ ნატოში გაწევრიანებას და შეთანხმების გაფორმებას შეერთებული შტატებისგან, რომლის თანახმად, აიკრძალება ამერიკული სამხედრო ხომალდებისა და თვითმფრინავების გაგზავნა **„რეგიონებში, მაგალითად, შავი ზღვის რეგიონსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საიდანაც მათ მეორე მხარის ტერიტორიაზე მდებარე სამიზნეებზე დარტყმების განხორციელება შეუძლიათ“.**

ეს არ არის სერიოზული შეთავაზება კაცისგან, რომელსაც მშვიდობა სურს.

რუსეთმა ზემოთ ხსენებული შეთავაზებების შესრულება ნატოსგან ადრეც სცადა. თუმცა 2009 წლის ნოემბერში ნატომ უარყო რუსეთის მიერ შემოთავაზებული ევროპის უსაფრთხოების ხელშეკრულების პროექტი, რადგან ნატო-რუსეთის ურთიერთობა უკვე საკმარისად რეგულირდება 1997 წლის დამფუძნებელი აქტით ორმხრივი ურთიერთობების შესახებ, ეუთოს მიერ 1999 წელს მიღებული ქარტიით ევროპის უსაფრთხოების თაობაზე და 2002 წელს მიღებული რომის დეკლარაციით.

ამ უკანასკნელი დოკუმენტის ფარგლებში შექმნილია ნატო-რუსეთის საბჭო.

პუტინი დახელოვნებულია კრიზისების შექმნაში, რათა მოგვიანებით, თავად „ჩააქროს“ ისინი, უკრაინაში შეჭრის მუქარით, მან გათვალა, რომ აშშ-მა და სხვა დასავლურმა ძალებმა შესაძლოა, პირდაპირი მოლაპარაკება აწარმოონ კრემლთან (სავარაუდოდ, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის მოკავშირეებზე), შესთავაზონ მას გარკვეული დათმობები და მისცენ მას უფლება, შეინარჩუნოს გავლენა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე მშვიდობის სანაცვლოდ.

პუტინის ტაქტიკა იმუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავნებდებით. დროა, ნატომ პუტინის ამ ტაქტიკას „ბლეფი“ უწოდოს.

რუსეთს ხელი აქვს მოწერილი 1999 წელს ეუთოს მიერ მიღებულ ქარტიაზე, რომელიც ადასტურებს ეუთოს თითოეული წევრი სახელმწიფოს უფლებას, თავად აირჩიოს საკუთარი უსაფრთხოების სისტემა.

ჩვენ უნდა დავასრულოთ პუტინის დე ფაქტო ვეტო საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე, რომელიც მიღწეულია ამ ქვეყნებში დაბალი დონის კონფლიქტების გაღვივებით, რომლის ინტენსივობას კრემლი აძლიერებს და ამცირებს საკუთარი დღის წესრიგის შესაბამისად.

2008 წელს ჩვენ საქართველოსა და უკრაინას ნატოს მაგიდასთან ადგილებს დავპირდით და დროა, ჩამოვაყალიბოთ სამოქმედო გეგმა ჩვენი დაპირების განსახორციელებლად. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება იმ პირობით, რომ ნატოს მე-5 მუხლი მოიცავდეს მხოლოდ კიევისა და თბილისის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიას, თუმცა ერთი რამ ცხადია — ნატოს არ შეიძლება, ჰქონდეს „ღია კარის“ ისეთი პოლიტიკა, როდესაც კარისკაცი პუტინია.

შეიჭრება თუ არა პუტინი უკრაინაში, ეს დანამდვილებით მხოლოდ მან იცის. თუმცა თუ ის ამას გააკეთებს, ჩვენ უნდა გავუგზავნოთ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება უკრაინას და დავაწესოთ ეკონომიკური სანქციები, რომლებიც რუსეთის ეკონომიკას დაანგრევს; ამასთან, უნდა გაუქმდეს „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის პროექტი.

უკრაინელები ბრძოლაში გამობრძმედილი ხალხია, რომელთაც სურთ, იბრძოლონ იმ თავისუფლებისთვის, რომელიც ევროპის დიდმა ნაწილმა გაურჯელად მიიღო. არავის შეგეპაროთ ეჭვი, რომ ეს იქნება ბრძოლა ჩვენი, ევროპის თავისუფლებისთვის, რადგან ისტორიამ გვასწავლა, რომ აგრესორები მხოლოდ სამეზობლოში არ რჩებიან.

ნატო არის მშვიდობის ალიანსი. მას არაფერი სურს, გარდა მშვიდობიანი თანამშრომლობისა რუსეთთან და ცდილობდა მოსკოვის ჩართვას ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის შესახებ დისკუსიებში. მაგრამ ეს თანამშრომლობა პუტინის ქმედებამ გაართულა.

მაშინაც კი, როდესაც რუსეთმა 2014 წელს დაარღვია წესების საფუძველზე საერთაშორისო წესრიგი, ჩვენ მაინც ვცდილობდით დიალოგის დაწყებას. დიალოგი მნიშვნელოვანია, მაგრამ ის უნდა იყოს ჩვენი პირობებით და იმის გაცნობიერებით, რომ ჩვენ არ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს მუქარის და ესკალაციის საფუძველზე.

ნატოს იარაღის ლულის მუქარით მოლაპარაკების გამართვა არ შეუძლია. თუ ჩვენ ახლა უკან დავიხევთ, ამ ჩვენი უკან დახევის გზავნილს ნათლად მოისმენენ როგორც ჩვენზე დაყრდნობილი დემოკრატიები, ისე ავტოკრატები, რომლებსაც ჩვენი თავისუფლების ეშინიათ“.

ვალერი ჩეჩელაშვილი: „არგალიზიანების“ პოლიტიკა ილუზიაა!

სად შეიძლება, მოიძებნოს კომპრომისი?

კრემლი ნატოსთვის წაყენებული ულტიმატუმების კონტექსტში, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის მის გავლენის სფეროდ აღიარებას ითვალისწინებს, მუქარანარევ შტურმს ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში განაგრძობს. რა მიმართულებას შეიძენს რუსეთ-დასავლეთის ეს მზარდი დაპირისპირება, 2022 წელს უნდა გახდეს ცნობილი, შესაძლოა, მას შემდეგაც, რაც შედგება იანვარში დაანონსებული შეხვედრები: როგორც ცნობილია, უსაფრთხოების საკითხებზე აშშ-ისა და რუსეთის წარმომადგენლების მოლაპარაკებები 10 იანვრისთვის იგეგმება, რუსეთსა და ნატოს შორის — 12 იანვარს, ხოლო უფრო ფართო რეგიონული შეხვედრა მოსკოვს, ვაშინგტონსა და ევროპის რამდენიმე ქვეყანას შორის 13 იანვრისთვისაა დაგეგმილი.

„როდესაც ჩვენ დავსხდებით სალაპარაკოდ, რუსეთს შეუძლია, წარმოადგინოს თავისი შეშფოთებები და ჩვენც ჩვენს შეშფოთებას დავაყენებთ რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით. იქნება სფეროები, სადაც ჩვენ შევძლებთ პროგრესის მიღწევას და სფეროები, სადაც ვერ შევთანხმებით. სწორედ ეს არის დიპლომატია“, — განაცხადა თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელმა.

ამრიგად, როგორც წინმსწრებად არაერთმა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა, მათ შორის რუსეთში აშშ-ის ელჩმა აღნიშნა, მზად არიან მოლაპარაკებებისთვის, შესაძლოა, იყოს კომპრომისებიც, თუმცა ხაზგასმით განიმარტა, რომ ვერ მოხდება კომპრომისი იმგვარ საკითხებზე, რომელიც შეეხება ნატოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს, ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას და რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, მათ შორის, პატარა ქვეყნის ნაცვლად, სად სურს მას საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იგივე არაერთგზის გაიმეორა ნატოს გენერალურმა მდივანმაც. მაშ, რას შეიძლება, შეეხებოდეს კომპრომისები?

პროცესზე დამკვირვებელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ დასავლეთში გაიზარდა საფრთხის განცდა და მოლოდინი, რომ რუსეთი შესაძლოა, მართლა შეიჭრას უკრაინაში, რაც გამანადგურებელი იქნება რუსეთისთვის, მოუწევს რა დასავლეთს ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება — აქამდე არნახული სანქციების (ეკონომიკურ, ფინანსურ, პერსონალურ, სამხედრო-პოლიტიკური მიმართულებით) შემოღება და ვეღარ შემოიფარგლება საშუალო რგოლის ჩინოვნიკების წინააღმდეგ მიმართული ზომებით. მაგრამ ასევე მძიმე იქნება ევროპისთვის და ცხადია, უკრაინისთვის.

მეორე მხრივ, მათი ხედვით, ვინაიდან ვლადიმირ პუტინმა „ტემპერატურა“ უკიდურესად ასწია, ეცდება, მოლაპარაკებები მისთვის სასარგებლო „ნადავლით“ დაასრულოს, თუმცა ესმის წაყენებული ულტიმატუმის უპერსპექტივობაც და აქ შესაძლოა, კომპრომისი ბირთვული უსაფრთხოების კონტექსტში ახალი შეთანხმება გახდეს, ან დასავლეთის მხრიდან კონკრეტულ ლოკაციებზე ახალი არსენალის არგანთავსებაზე თანხმობა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში კომპრომისის შესაძლებლობას ვერ ხედავს საქართველოს ყოფილი ელჩი უკრაინაში და ასევე ყოფილი ელჩი რუსეთში **ვალერი ჩეჩელაშვილი:**

„ვფიქრობ, ამგვარი ვალდებულების აღებას ამერიკელები არ დასთანხმდებიან. არც რუსები დასთანხმდებიან, რომ ახალ შეიარაღებას არ განათავსებენ მაგალითად, ყირიმში. თუ ურთიერთკომპრომისებზე იქნება საუბარი და შეთანხმდებიან, რომ რუსეთი ყირიმიდან გაიყვანს უკანასკნელ პერიოდში განთავსებულ ტაქტიკურ შეიარაღებებს, შესაძლოა, ნატოს მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები იქნას გადადგმული, მაგრამ ეს ორმხრივი მოძრაობა უნდა იყოს. ისიც უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთს არა აქვს რესურსი, აგრესიული ტონით ელაპარაკოს კოლექტიურ

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საკუთარი შენობა აქვს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა შეიძინა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რის გამოც ის დღემდე ქირაობდა საოფისე შენობას. როგორც კულტურის სამინისტროში აცხადებენ, კერძო მესაკუთრესთან ამჟამად გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2021 წლის 31 დეკემბერს იწურებოდა. მათივე განცხადებით, სააგენტოს საოფისე ფართი თაბუკაშვილის ქუჩაზე შეუთავსებელია მის დღევანდელ საჭიროებებთან, მით უმეტეს, რომ მასში 2006 წლიდან სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დანაყოფი იქნა განთავსებული.

„სააგენტოს ახალი ოფისი არის ერთ-ერთი გამორჩეული შენობა მთელ აღმაშენებლის გამზირზე, როგორც ისტორიული, ისე მხატვრული თვალსაზრისით. დავით აღმაშენებლის №79-ში მდებარე სახლი ქვისა და მარმარილოს სახელოსნოს დამაარსებელს, წარმოშობით იტალიელ მოქანდაკეს ანჯელო ანდრეოლეტის ეკუთვნოდა და ის 1901 წელს არქიტექტორ ალექსანდრე შიმკევიჩის პროექტით აშენდა. შენობის მთავარი ფასადი აღმაშენებლის გამზირზე გადის. მისი მხატვრული გადაწყვეტა მცირედ განსხვავდება თავდაპირველი პროექტისგან, თუმცა ღიობების რაოდენობა და ფასადზე დეკორის განაწილების პრინციპი შენარჩუნებულია.

მესამე სართულის კიბის უჯრედის კედლებზე დატანილია ფერწერული პანოები, მარმარილოს პილასტრები და თაბაშირის დეკორირებული პანელები. კედლებზე განთავსებული ხუთი ფერწერული პანო მოქცეულია სწორკუთხა პროფილირებულ ჩარჩოში. ნამუშევრები 1997 წელს მხატვარმა მამუკა ცეცხლაძემ შექმნა. ამავე კიბის უჯრედის ჭერზე დატანებულია ღიობი, რომელიც ვიტრაჟით არის შევსებული. ვიტრაჟი შექმნილია გეომეტრიული მოტივებით და სხვადასხვა ფერის საღებავით.

ინტერიერში ასევე მნიშვნელოვანია მესამე სართულის ერთ-ერთ ოთახში განთავსებული ბუხარი, რომელიც რეაბილიტაციის შედეგად, სხვადასხვა ფერის, ახალი მარმარილოს ქვითაა მოპირკეთებული.

შენობის პრეზენტაციისას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის მოცემული შენობის შეძენის ინიციატივის მხარდაჭერისთვის განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ეს ინიციატივა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სააგენტოს თანამშრომლებისთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ თეა წულუკიანს ეკუთვნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის გამართული ინფრასტრუქტურის შეძენის ინიციატივა. მიმდინარე წლის სექტემბერში მინისტრი პირადად გაეცნო სააგენტოს ინფრასტრუქტურულ პრობლემებს და ადგილზე ვიზიტისას აღნიშნა, რომ სამინისტრო იწყებდა მუშაობას სააგენტოსა და მის თანამშრომლებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნაზე.

აღსანიშნავია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2021 წლის 13 დეკემბერს გაცემული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შენობის საორიენტაციო საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 8 097 530 ლარით, ხოლო შეძენისას გადახდილი იქნა ღირებულებაზე ნაკლები, 7 739 250 ლარი (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით). კულტურის სამინისტრომ მოცემული ფინანსური რესურსის მობილიზება მთელი სისტემის მასშტაბით წლის ბოლოს გამოვლენილი ეკონომიის ხარჯზე შეძლო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის საოფისე ფართი შეიძინა“.

გულზე აკგარროზად მოფენილი წმინდა ცრემლი...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ წმ. იოაკიმესა და ანას სახ. სამედიცინო ცენტრს.

ჩვენო უწმინდესო, მოულოდნელად აღმოვჩნდი, მძიმე მდგომარეობაში. ცოტაც და სიკვდილს შევხვდებოდი, მაგრამ უფლის წყალობით, მოვხვდი საპატრიარქოსთან არსებულ წმ. იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრში, სადაც იბრძვიან სიცოცხლისთვის, გადარჩენისთვის, თითოეული ადამიანისთვის. ნამდვილად რომ ისინი ჩვენი დროის გმირები არიან, ამ მეტისმეტად ამღვრეულ დროში, გაიშვიათებულ სიყვარულის სამყაროში, სადაც სიხარბე და მატერიალიზმი სჭარბობს, სიკეთეს და სულიერებას. მინდა განსაკუთრებული მადლობა გამოვხატო ამ ექიმების: სამედიცინო ცენტრის დირექტორის **ვეფხია ოდიშარიას**, განყოფილების გამგის **ნანა ჭანტურიას**, ინფექციონისტ **ნინო ჯინჭარაძის, ეკატერინე დგებუაძის, ნანა სვანიძის, სოსო ყაზიშვილის, მედდების: ლიკა შენგელიას, ეკატერინე მინდიკაურის, რუსუდან კოჩიევის, ლაშა მარიამულის, მანანა ტერტერაშვილის** და ყველა მომსახურე სამედიცინო პერსონალის მიმართ. მადლობა მათ, ვინც ერთი სანთელი დაანთო, ასევე ჩემს მეუღლეს, მხატვარს, პოეტს, ანჩისხატის ტაძრის დიაკვანს, **მამა მირიან ფალიანს**, რომელსაც ოცდაცხრა დღის განმავლობაში ერთი წუთით არ დავუტოვებივარ, რომლის თვალებშიც უთქმელად იკითხებოდა, რომ მნახველთათვის დაწესებულ საათების განრიგს მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

დაბოლოს ღმერთს ვთხოვ, თქვენო უწმინდესობავ, თქვენი მოფიქრალი თვალთა უპეებიდან წამსკდარი წმინდა ცრემლი, გულზე ავგაროზად მეფინოს.

უდიდესი მადლიერებით

ლალი აბშილავა-ფალიანი,

პოეტი, მსახიობი, ჟურნალისტი, ხელნაკეთი ნივთების ავტორ-შემსრულებელი.

გულწრფელი მადლობა თეთრხალათიანებს

მავანმა შეიძლება იფიქროს მადლობას რად უნდა გულწრფელობაო, რად უნდა და ახლავე მოგახსენებთ – 20 დეკემბერს მე და ჩემს მეუღლეს ზოია გაბაძეს დაგვიდასტურდა კოვიდი, მოვხვდით ივანე გომართელის სახელობის საჩხერის საავადმყოფოს ცენტრში. ამთავითვე ვიტყვი, ღმერთმა ყველგან, სრულიად საქართველოში მიაღწევინოს ამ დარგს ასეთი მომსახურების დონისთვის როგორიც აქაა, ამიტომაც გულწრფელი მადლობა ცენტრის ხელმძღვანელობას, ჯანდაცვის სამინისტროს, ხელისუფლებას და აქ მომსახურე პერსონალს ღიმილიანი და დაუღლელი მომსახურებისთვის, რედაქციას გულმოდგინედ ვთხოვთ, გამოაქვეყნოს მათი გვარ-სახელები.

თერაპიული განყოფილების გამგე: **თეა ტეფნაძე**, მორიგე ექიმები: **გიორგი ჩაფიჩაძე, თაზო თოდაძე, თეკლა უგულავა, ანუკი გულიაშვილი, ანი ჯოჯუა.**

მედდები: **ირინა აბრამიშვილი, გაგო ჯიღლაძე, მაია ივანაშვილი, ნატო შაორშაძე, გულო მაჭავარიანი, გელა გრეგვაძე, ნონა შეყლაშვილი, ლელა ღუღუნიშვილი, ნელი მწყერაშვილი,** უფროსი მედდა **ნინო ტყემალაძე.**

სანიტრები: **ლიანა გახტურიძე, თეა ქურციკიძე, ლია გურული, ლელა კუსიანი, მზია მაკასარაშვილი, ლუდმილა დეკანოიძე.**

ცეზარ ლაშხი.

დასავლეთს! რუსეთი მარტოდ დარჩა ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ. კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის (რომელიც რუსეთის დომინაციით შეიქმნა და რომელშიც შედიან ბელარუსი, სომხეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი და უზბეკეთი) დაპირისპირება ნატოსთან, სასაცილოა, ისევე, როგორც რუსეთის დაპირისპირება აშშ-სთან შეუდარებელი რესურსების გამო. რუსეთი შესაძლოა, სისხლის ღვრისთვის მზადაა, მაგრამ მან კარგად იცის საკუთარი ისტორია: მსგავსი ავანტიურისტული საომარი მოქმედებები ადრეც დაუწყია, მაგალითად, საბჭოთა კავშირს ავღანეთის წინააღმდეგ, რაც ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოსვლით და ორი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა. დღეს რუსეთი საკუთარი პრობლემებითაა დახუნძლული: ეკონომიკური სტაგნაცია, ინფლაცია, სეპარატიზმი, რეგიონების ერთმანეთთან დაპირისპირება, ზედმეტად ცენტრალიზებული მართვა, რის გამოც ქვეყანა ეფექტურად ვერ ფუნქციონირებს – რუსეთი საბჭოთა კავშირის გზას იმეორებს და ამაზე საუბრობენ თავად რუსი მკვლევრები. რუსეთის ბლეფი წაგებული თამაშია“.

ანალიტიკოსი გამორიცხავს, კომპრომისულ საკითხებს შორის აღმოჩნდეს საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი – შავი ზღვის უსაფრთხოების თემა, რადგან ეს ნატოსა და უშუალოდ აშშ-ის მხრიდან უკან დახევა და რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარება იქნებოდა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ აშშ სადღეისოდ მთავარ გამოწვევად ჩინეთს მიიჩნევს, ანალიტიკოსი გამორიცხავს, ამერიკამ რიგი კომპრომისების ხარჯზე, რუსეთთან ჩინეთის შეკავების შეთანხმებული, გრძელვადიანი პოლიტიკა აწარმოოს.

ჩეჩელაშვილი ასკვნის, რომ რუსეთსა და აშშ-ს თავიანთი დღის წესრიგები აქვთ, მხარეთა არგუმენტები მკაფიოა, რაც მორიგ ჯერზე ცხადყოფს, რომ საქართველო ბარიკადების სწორ მხარეს უნდა დადგეს და გახდეს ცივილიზებული სამყაროს ერთიანი პოლიტიკის ნაწილი რუსეთის მიმართ, რადგან საქართველოს პრობლემების გადაწყვეტა რუსეთთან ორმხრივ ფორმატსა თუ „არგაღიზიანების“ პოლიტიკის წარმოებით, ილუზიაა.

სამშობლო

სამშობლო ხომ ერთია,
ხმას მივაწვდენ ზეცამდე,
მაგრამ რაა, ვერ ავხსნი,
თუმცა ბევრჯერ ვეცადე.
მამულს როცა უმღერი,
შემშურს შენი, პოეტო,
ლექსში ცრემლს რომ
აპკურებ,
სევდა მეც გადმომედო.
სადაც გავჩნდი, წინაპრის
ნაფეხური ეტყობა,
ღიმილი აქ სხვაფრივ კრთის,
მოჩანს სულის ერთობა.
შემომძახის წარსული,
სიხალისე ბავშვობის,
მერე?..
ორომტრიალი,
ჩემს კუთხეს რომ დავშორდი,
ბედმა სად არ მატარა,
ვერ მოვიკალ ჟინი მე,
განა ვინ შეედრება
მშობელს, მისი ჭირიმე!
ვაზი, კეთილშობილი,
ჩემი ტაძრის ზედაშე...
ვაი, ბრალი, ვინც ფუძეს
არ უმართავს ზედნაშენს...
ნეტავ რაა სამშობლო,
დედააზრი რაშია,
ბაღ-ვენახი, ზღვისპირი,
მოვერცხლილი არშია...
იქნებ სოფლად მინდორმა
მათქმევინოს, მეშველა,
როცა დარდს წყალს გავატან
და გავივლი ფეხშველა...
ფიქრებს ზვრებში მივყავარ,
მაგონდება ურმული,
გიკვირთ ამის გამგონეს,
ახლაც რომ მიდუღს გული?
თურმე სულის საუნჯე,
ჩემი ქუჩა ყოფილა,
სადაც სიყრმის მოძმენი,
ბერმუხებად მოყრილან...
გამახსენებს სიბერეს
ოქროსფერი დაისი,
მარტში შაშვი იგალობს,
გაზაფხულის ხმა ისმის...
მე რაც მიყვარს, მტკივა ის,
თქმითაც არ დავიღლები,
მიყვარს ჩემი მთა-ბარი
თვინიერი ირმები...
მგალობელი შოშია
ყინვამ ააკანკალა...
მტკივა, თანამოძმეთა
რომ არ ვიცით გატანა.
რას ვუწოდო სამშობლო,
სიტყვას,
ნათქვამ სიმართლეს,
რაც რომ დედის ლოცვაა,
ის, რაც გზას გამინათებს...
ვერ ავხსენი მაინც ვერ,
ნუთუ კარგი დარია,
იქნებ ცისარტყელაა,
უფლის საჩუქარია!
იქნებ თავად სამშობლო
სინანულის ცრემლია,
როს მიღმიერს გადავალ,
ვიცი, მეც მიმელიან...

გია დანელია

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲝᲠᲘᲐ...

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲚᲘᲙᲐᲡ, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ 1991 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲦᲘᲓᲒᲘᲜᲐ, ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲔᲑᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ.

ᲨᲘᲓᲐ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲛᲣᲚᲢᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲚᲘᲖᲛᲖᲔ, ᲗᲛᲔᲜᲐᲖᲔ, ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲖᲔ. ᲒᲐᲠᲔ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲨᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲡ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲡ ᲮᲓᲘᲡ. ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲣᲚᲢᲘᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ, ᲠᲐᲪ ᲨᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲡ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲡ ᲮᲓᲘᲡ. ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲣᲚᲢᲘᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡ ᲓᲐᲪᲐᲠᲔᲑᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲬᲘᲜ �გᲠᲫᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲒᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐᲡ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲗᲐᲜ, ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲠᲝᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐ ᲝᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪ-

ᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ. ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ, ᲙᲐᲡ�პᲘᲘᲡ ᲜᲐᲒᲗᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲖᲠᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲢᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ, ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

„ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲛᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲘ, ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲕᲐᲠ!“ — ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ.

ᲔᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ. ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲠᲝᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲨᲔᲐᲕᲥᲕᲗ ᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲘᲗᲘᲪ ᲒᲐᲛᲑᲔᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲢᲐᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲔ. ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ. ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ.

31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ, ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ. COVID-19 ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲠᲘ�გ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ. ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲨᲘ ᲡᲢᲘᲥᲘᲣᲠᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲡ ᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑᲗ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ, ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲡᲛᲭᲕᲠᲔᲢᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐ-ᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ.

31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲠ

როგორ უნდა ვისწავლოთ ინგლისური

ჩვენს ცხოვრებაში ზოგჯერ ორიგინალური და დახვეწილი ანეკდოტი უფრო მოხდენილად ასახავს სინამდვილეს, ვიდრე ვრცელი და ღრმააზროვანი მსჯელობა.

გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი ავერელ ჰარიმანი 1943-1946 წლებში იმყოფებოდა მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად. გარკვეულ გარემოებათა გამო (მეორე მსოფლიო ომი!) საკმაოდ ხშირად უწევდა შეხვედრები სტალინთან. თარჯიმნობდნენ: საბჭოთა მხრიდან — პავლოვი და ამერიკელთა მხრიდან — საელჩოს მესამე მდივანი ჩარლზ ბოლენი (შემდგომში ელჩი რომ გახდა).

ჰარიმანი სტალინთან შეხვედრაზე ხანდახან მიდიოდა სხვა თარჯიმნის თანხლებით და რუსულად იტყოდა ხოლმე: „Болен-болен“ (ბოლენი ავად არისო).

ჩანს, თავს იწონებდა რუსულის ცოდნით. ჰარიმანის ამ კალამბურზე სტალინს მუდამ ეცინებოდაო.

ჰარიმანი გათამამებულა და ერთხელაც ანეკდოტი შეუთხზავს სტალინზე. ვალენტინ ბერეჟკოვი (პერსონაჟი ამ ანეკდოტისა), რომელიც 1941-1944 წლებში მსახურობდა სტალინთან ინგლისური ენის თარჯიმნად, ასე გადმოგვცემს აღნიშნულ ანეკდოტს:

სტალინისა და ჰარიმანის ერთ-ერთი საუბრისას თარჯიმანმა პავლოვმა ერთი-ორჯერ წაიფორხილა და ამერიკელი ბოლენი იძულებული გახდა, მიშველებოდა გასაჭირში ჩავარდნილ და უსაზღვროდ შეცბუნებულ საბჭოთა კოლეგას.

სტალინს, მეტი რომ არა ვთქვათ, გული მოუვიდა და აღშფოთებით გადაულაპარაკა იქვე მყოფ მოლოტოვს:

-— ამერიკელი რატომ უსწორებს ჩემს თარჯიმანს? ასე არ ივარგებს! ერთი მითხარი, ვიალინის თარჯიმნად დანიშნეს.

ასე მთავრდება ჰარიმანის მიერ შეთხზული ანეკდოტი. მისი მარილი ის გახლავთ, რომ სტალინი ინგლისის პარლამენტზე უფრო ყოვლისშემძლედ გამოიყურება, ვინაიდან არსებობს ასეთი გამოთქმა: ინგლისის პარლამენტს ამქვეყნად ყველაფერი ძალუძს, ოღონდ მამაკაცს დედაკაცად ვერ გადააქცევსო. ხოლო ჰარიმანი ხუმრობს, სტალინის ბრძანებით გერმანული ენის თარჯიმანი, თვალის დახამხამებაში, ინგლისური ენის თარჯიმნად გადაიქცაო. თუკი სტალინს ეს ანეკდოტი უამბეს, უეჭველია, გულიანად გაეცინებოდა.

სინამდვილეში ბერეჟკოვი გერმანულად ხომ ისე მეტყველებდა (სუფთა ბერლინური გამოთქმით), რომ ჰიტლერს იგი გერმანელი ეგონა, მაგრამ თავისი მშობლების შორსმჭვრეტელობის წყალობით, ინგლისურიც ბრწყინვალედ სცოდნია, თორემ ხუთ წუთში, რასაკვირველია, ვერ ისწავლიდა (მიუხედავად ჰარიმანის მტკიცებისა) და, ალბათ, დახვრეტა არ ასცდებოდა.

დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც ჰარიმანმა ზემოხსენებული ანეკდოტი შეთხზა, საბჭოთა კავშირის ელჩად შეერთებულ შტატებში დანიშნეს ანდრეი გრომიკო, რომელსაც შემდგომში (1957 წლიდან 1985 წლამდე) საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

სტალინი ეკითხება გრომიკოს:

— ინგლისურ ენას როგორ ეწყობით?

გრომიკო პასუხობს:

— ვებრძვი და, ვგონებ, თანდათანობით ვძლევ. თუმცა სწავლის პროცესი რთულია. განსაკუთრებით იმიტომ, რომ აუცილებელი სალაპარაკო პრაქტიკა მაკლია.

მაშინ სტალინს ისეთი რჩევა მიუცია, რომ გაუოგნებია გრომიკო (ამას თვითონვე გვაუწყებს თავის მემუარებში), იმავდროულად გაუმხიარულებია და, რაც მთავარია, უმაღლეს მთავარსარდალთან საუბრისას წარმოქმნილი მისი შებოჭილობა გაუფანტავს.

აი, რა უთქვამს სტალინს გრომიკოსთვის:

— ურიგო არ იქნება, დროდადრო შეიაროთ ხოლმე ამერიკულ ეკლესიებში, ტაძრებში და საეკლესიო მოძღვართა ქადაგებანი მოისმინოთ. ისინი ხომ მკაფიოდ მეტყველებენ სუფთა ინგლისურ ენაზე და დიქციაც ჩინებული აქვთ. ტყუილად როდი იყო, რომ საზღვარგარეთ მყოფი არაერთი რუსი რევოლუციონერი სწორედ ამ მეთოდს მიმართავდა უცხო ენის ცოდნის სრულყოფისათვის.

ერთობ დავიბენიო, გვამცნობს გრომიკო. ვიფიქრე, ეს რა ხდებამეთქი, სტალინი, ათეისტი კაცი, მირჩევს მე, ასევე ათეისტს, ამერიკის ეკლესიებში სიარულს? ნეტავი ვიცოდე, ხომ არ მცდისო? კინაღამ არ ვკითხე: ამხანაგო სტალინ, ამ მეთოდს თქვენც მიმართავდით-მეთქი? მაგრამ გამახსენდა, რომ უცხო ენები არ იცოდა და ენას კბილი დავაჭირეო.

როგორც გრომიკოს მონათხრობიდან ირკვევა, შეერთებულ შტატებში ჩასულს, რა თქმა უნდა, ერთხელაც არ შეუვლია იქაურ ეკლესიებსა და ტაძრებში. მისი სიტყვით, ეს იყო, ალბათ, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა დიპლომატმა სტალინის მითითება არ შეასრულაო.

გრომიკო მკითხველის წინაშე თავს იმართლებს, დაქოქილ ამერიკელ ჟურნალისტებს ჩემთვის ეკლესიაში თვალი რომ მოეკრათ, ესოდენ საოცარ სენსაციას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ და, ცხადია, გაზეთებს ამგვარი დასკვნით მყისვე ააჭრელებდნენ: უღვთო ქვეყნის ელჩი მორწმუნე ქრისტიანი ყოფილაო.

ანდრეი გრომიკო, ამ შემთხვევაში, ნამდვილად ვერ ასცდებოდა საყვედურს პირად საქმეში შეტანით...

მოამზადა
ლაშა გიორგაძემ

200 მილიონი წლის შემდეგ, აფრიკისა და ინდოეთის შეჯახების შედეგად დედამიწაზე უდიდესი მთები გაჩნდება

გეოგრაფიის ყველა სასკოლო სახელმძღვანელოში ნახავთ რუკებს, რომლებიც დღევანდელ დედამიწას ჰგავს, მაგრამ არც ისე, რადგან ყველა კონტინენტი ერთ სუპერკონტინენტად არის შერწყმული. ეს რუკები კარგად ხსნის, თუ რატომ ჰგავდნენ ერთმანეთს ძალიან დინოზავრები სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში.

ასეთი პალეოგეოგრაფიული რეკონსტრუქციები იმ პროცესთა კვლევის კონტექსტს გვთავაზობს, რომლებმაც ჩვენს პლანეტას მისცა ფორმა: ფილების ტექტონიკა, ვულკანიზმი, მთების წარმოქმნა და მათი ურთიერთქმედება ოკეანეებთან, ატმოსფეროსთან, მზესთან, რაც აყალიბებს კლიმატსა და სიცოცხლეს. გასული ათი წლის განმავლობაში ძლიერ განვითარდა პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ასეთი რეკონსტრუქციების შექმნის საშუალებას აძლევს.

თუმცა, თუ პალეოგეოგრაფიული რუკები უკვე შეტანილია ჩვენს ძირითად სასკოლო სახელმძღვანელოებში, რის აღმოჩენას ცდილობენ გეოლოგები? უბრალოდ დეტალების?

გარკვეულწილად დიახ, შორეულ წარსულში ფილების მოძრაობის დეტალების გარკვევამ შეიძლება ბევრი რამ გვითხრას.

მაგალითად, დიდმა ოკეანურმა დინებებმა შეიძლება უცბად შეიცვალოს მიმართულება, როდესაც ვიწრო ოკეანური დერეფნები იხსნება ან იხურება, როგორიც არის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შორის; ანდაც როდესაც წყალი უცბად მიაწყდა გიბრალტარის სრუტეს და ხმელთაშუა ზღვა აავსო. ასეთი დერეფნების მცირე სხვაობებმა დროსა და ადგილში შეიძლება არასწორად წარმოაჩინოს ის, რაზეც ვფიქრობდით, რომ წარსულში კლიმატის ცვლილებები უნდა გამოეწვია. პალეოგეოგრაფიის უდიდესი პრობლემა დეტალები არ გახლავთ; საქმე ის არის, რომ დედამიწის ქერქის 70 პროცენტი, რომელიც 150-200 მილიონი წლის წინ არსებობდა, როდესაც პლანეტაზე უკვე დააბიჯებდნენ დინოზავრები, დედამიწის შიდა მანტიაში ჩაიძირა.

პალეოგეოგრაფიულ რუკებზე ამჟამად ჩაძირული ეს ზონები მონიშნულია, მაგრამ მხოლოდ უმარტივესი შესაძლო სცენარების გამოყენებით, ბევრი დეტალის გარეშე.

გეოლოგიურ მასალებში ამ ჩაძირული ქერქის ნაშთები შემორჩენილია, რომელთა საფუძველზეც, მკვლევრები დედამიწის „დაკარგული“ ზედაპირის შესწავლას ცდილობენ.

მრავალი მთა, მათ შორის ჰიმალაებიც, წარმოქმნილია ჩაძირულ ფილას მოწყვეტილი, შემდეგ კი დაკეცილი და ერთმანეთზე დაწყობილი ქანებისგან. მათში არსებულ ქანებს, ნამარხებსა და მინერალებს შეუძლიათ გვითხრან, სად და როდის წარმოიქმნა ეს ქანები. ამის შემდეგ, გეოლოგებს შეუძლიათ ეს ყველაფერი შეაჯამონ და გაარკვიონ, როგორ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ეს კონტინენტები, ღრმა აუზები და ვულკანები.

* * *

ბოლო წლებში, მეცნიერებმა გადაწყვიტეს, რომ თუ შესაძლებელი იყო თანამედროვე მთების პალეოგეოგრაფიის რეკონსტრუქცია, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო სამომავლო მთების პროგნოზირებაც. ორგანიზაცია გლობალური ტექტონიკისა და პალეოგეოგრაფიის თავმჯდომარის, ურტეხტის უნივერსიტეტის მკვლევარ დუვე ფონ ჰინსბერგენის განცხადებით, ერთხელაც ის მიხვდა, რომ ეს ფრიად საინტერესო ექსპერიმენტი იქნებოდა. სამომავლო ქედების არქიტექტურის პროგნოზი მოითხოვს „მთების მშენებლობის წესების“ ფორმულირებას, რაც აქამდე არ მომხდარა. შედეგად, შესაძლებელი უნდა გახდეს იმის პროგნოზირება, როგორ გარდაიქმნება ჩვენთვის ნაცნობი გეოგრაფია მთების სარტყლებად, რაც იმაზეც შეგვიქმნის წარმოდგენას, როგორ გამოიყურებოდა სამუდამოდ დაკარგული ფილები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც რაიმე ნარჩენის გარეშე ჩაიძირა. საინტერესოა, როგორი იქნება სამომავლო მთები? დღევანდელის მსგავსი?

წესების ჩამოყალიბების მიზნით, ფონ ჰინსბერგენმა შეადარა, რომელი მახასიათებლებია მთის სარტყლებში უფრო გავრცელებული. შედეგად მიიღეს იმ მთების სარტყლის გეოლოგიური არქიტექტურა, რომლებიც შემდეგი 200 მილიონი წლის განმავლობაში წარმოიქმნება სომალიში, აფრიკისგან მოწყვეტისა და ინდოეთთან შეჯახების გზით.

ამ გზით წარმოქმნილ ქედს მეცნიერებმა „სომაიალას მთები“ უწოდეს და ისინი შეიძლება იმ დროის ჰიმალაები იყოს. სომალაიასა და დღეს არსებულ მთებს შორის მსგავსებათა შემჩნევამ შეიძლება ისეთი გადაწყვეტებით უზრუნველგვყოს, რომლებსაც ვერასოდეს წარმოვიდგენდით პალეოგეოგრაფიულ ევოლუციაში. მაგალითად, ამავე კვლევის მიხედვით, მთის სარტყელი შეიძლება წარმოიქმნას მადაგასკარსა და აფრიკას შორის არსებულ უბეში; ის ძლიერ მოღუნული იქნება, დაახლოებით კარპატების ან ინდონეზიის ბანდას კუნძულების მსგავსად. პირველ რიგში, ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთი სომალის ქვეშ 50 კილომეტრით ან მეტით ჩაიმარხება, მაგრამ ამის შემდეგ, სომალი ბრუნვას დაიწყებს და ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთი კვლავ გამოჩნდება; ეს გეოლოგიური ისტორია ძლიერ ჰგავს დაახლოებით 400 მილიონი წლის წინანდელ დასავლეთ ნორვეგიისას.

ასეთი ექსპერიმენტები მეცნიერებს იმის გაანალიზებაში ეხმარება, რაც მათ დედამიწის ფილებისა და ზედაპირის ისტორიის რეკონსტრუქციისას გამორჩათ. რაც უფრო უკეთესი იქნება ეს რეკონსტრუქციები, მით უკეთესად შეგვეძლება დედამიწის ისტორიისა და ქცევის, მისი რესურსებისა და მათი გამოყენების ეფექტების პროგნოზი.



მომზადებულია
The Conversation-ის მიხედვით.
მიხეილ ჭაბუკაშვილი

ვიქტორ სანეევი – დიდი ოლიმპიონიკი

(პირველი გვერდიდან)

თითქმის 30 წელიწადია, რაც ვიქტორ სანეევი ავსტრალიაში წავიდა ოჯახთან ერთად. წავიდა არა სახელისა და დიდების საძებნელად ან ქონების მოსახვეჭად... სახელი და დიდება მას არასოდეს ჰკლებია, ქონება კი არასოდეს ჰქონია და არც არასოდეს უძებნია. წავიდა, რადგან ვერც ასეთი სოხუმი და აფხაზეთი იგუა და ვერც ასეთი თბილისი და საქართველო. სანეევი წავიდა, რათა თავისი საქმე ეკეთებინა, თავისი უზარმაზარი სპორტული გამოცდილება გაეზიარებინა ახალგაზრდებისთვის, მათთვის, ვისაც ეს ენდომებოდა. წავიდა, რადგან თავის სამშობლოში, პოლიტიკური კატაკლიზმებითა და ეკონომიკური კრიზისით თავგზააბნეულ და დაბეჩავებულ საქართველოში არ მიეცა ამის საშუალება.

სანეევს მუდამ შეეძლო საქართველოდან წასვლა, თანაც არა ერთი და ორი მიმართულებით. მე შენ გეტყვი, არ ეპატიჟებოდნენ, არ სთავაზობდნენ მაცდუნებელ წინადადებებს, არ უგზავნიდნენ დესპანებსა და მოციქულებს, არ ჰპირდებოდნენ ყველა ცხოვრებისეული პრობლემის ერთბაშად მოგვარებას. მაგრამ ვიქტორ სანეევი, რომელმაც სამი ოლიმპიური „ოქროს“ შემდეგ ძლივს მიიღო სამოთახიანი ბინა თბილისში, არსად წასულა, არც უფიქრია წასვლა, არ უღალატია არც თავისი სოხუმისთვის, არც თავისი აფხაზეთისთვის, არც თავისი თბილისისთვის და არც თავისი საქართველოსთვის. მას ეაჩებოდნენ არა მხოლოდ როგორც მსოფლიო რეკორდსმენს, სამგზის ოლიმპიურ, ევროპის რვაგზის, საბჭოთა კავშირის ექვსგზის და საკავშირო სპარტაკიადების ორგზის ჩემპიონს, ევროპის თასის ოთხგზის მფლობელს, არამედ როგორც – ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, უბრალოდ – ოლიმპიურ ჩემპიონს, უფრო უბრალოდ – ევროპის ჩემპიონს, კიდევ უფრო უბრალოდ – საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მთლად უბრალოდ – როგორც პერსპექტიულ ახალგაზრდა სპორტსმენს. არა, სანეევი არსად წასულა, მთელი თავისი ხანგრძლივი სპორტული ცხოვრება მან საქართველოს სამსახურს შეალია. რა მისი ბრალია, თუ იმ დროს საქართველოს წარმომადგენელს მხოლოდ საბჭოთა კავშირის დროშის ქვეშ შეეძლო საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ოლიმპიური თუ მსოფლიო სპორტის ისტორიკოსები და სტატისტიკოსები არ ერიდებიან სკრუპულოზურ კვლევას და საბჭოთა კავშირის სპორტულ წარმატებებს ყოფილი რესპუბლიკების წარმატებებად ანაწილებენ. თუ ადრე ყველა „საბჭოთა სპორტსმენი“ იყო, დღეს უკვე გამოდის ცნობარები და სპორტული ენციკლოპედიები, სადაც ყველა ჩემპიონის, ყველა სპორტსმენის გვარს საბჭოთა კავშირთან ერთად იმ რესპუბლიკის სახელიც ერთვის გვერდით, რომლის ღირსებასაც იცავდა იგი საკავშირო ნაკრებში.



შეიძლება ვინმეს მეტისმეტად კატეგორიულად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ვიქტორ სანეევს გაცილებით მეტი აქვს გაკეთებული საქართველოსთვის, ვიდრე ბევრ იმათგანს, ვინც წლების წინათ თავის ბიოგრაფიაში ამაყად წერდა ფრაზას – „ეროვნულ მოძრაობაში ვარ 1989 წლიდან“. სანეევის სახელი, იმ სპორტულ ენციკლოპედიებში შეტანილი, დღესაც ემსახურება საქართველოს.

ვიქტორ სანეევს არასოდეს უთქვამს, ეროვნულ მოძრაობაში ვიყავიო, არადა სწორედ ეროვნული მოძრაობის შემადგენელ ნაწილად განიხილება ბრძოლა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბებისათვის, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა სანეევი ამ ბრძოლის სულ პირველი ეტაპიდან. ჩვენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას განვიხილავდით არა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის შედეგს, როგორც ეს მოხდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, არამედ როგორც გზას ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.

მე მქონდა ბედნიერება, რამდენიმე წელიწადს ვიქტორ სანეევის კოლეგა ვყოფილიყავი: სწორედ 1989 წელს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელ კონფერენციაზე ჩვენ ვიცე-პრეზიდენტებად აგვირჩიეს. სეოკის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესში, მისი საქმიანობის პირველ წლებში, საშუალება მომეცა ახლოს გამეცნო ეს უდიდესი სპორტსმენი, რომლის შესახებ მეგონა, რომ ყველაფერი ვიცოდი. ზოგიერთი რიგითი ჩემპიონის ამბიციურობისა და პატივმოყვარეობის ფონზე არ შეიძლება არ მოგხიბლოს ვიქტორ სანეევის თავმდაბლობამ, მისმა ინტელექტმა და კულტურამ, უშუალობამ და სისადავემ. იშვიათია სანეევისთანა მორიდებული ადამიანი; მასთან უშუალო ურთიერთობისას ძნელი წარმოსადგენია, რომ ელაპარაკები ვიქტორ სანეევს, მსოფლიო სპორტის ერთ-ერთ ლეგენდას, ათლეტს, რომელიც არა ერთხელ და ორჯერ იყო დასახელებული მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საუკეთესო მძლეოსნად თუ სპორტსმენად და რომლის სახელიც მთელი 12 წლის განმავლობაში – ოთხი ოლიმპიადის მანძილზე – შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს და პატივისცემის გრძნობით აღავსებდა სპორტის გულშემატკივრებს მთელ პლანეტაზე.

ახლა პრინციპულობა! არასოდეს დამავიწყდება, 1990 წლის გაზაფხულზე სპორტის სასახლის მუზეუმში ჩატარებული სეოკის აღმასკომის ერთ-ერთი სხდომა, რომელზეც პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გაერთიანების სისოევისეული პროექტის განხილვა შემოგვთავაზა. აღმასკომის რამდენიმე წევრი წინასწარ ვიყავით გაცნობილი ამ პროექტს, სანეევი – არა. ნონამ მას პროექტის ტექსტი გაუწოდა, ვიქტორ დანილიჩ, გაეცანით და თქვენი აზრი გვითხარითო. ვიქტორმა სათაურს დახედა და ტექსტი ისეთი ჟესტით გადადო გვერდზე, რომ ყველაფერი ნათელი გახდა.

არაფერი მესმის სპორტის იმ ზოგიერთი ბიუროკრატისა, რომლებიც სანეევის წარმატებებით სახელსაც შოულობდნენ და სახრავსაც, მაგრამ მას მაინც არ სწყალობდნენ; სამწუხაროდ, მას ჯეროვნად არ აფასებდნენ თვით იმ სპორტსაზოგადოებაშიც კი, რომლის სახელსაც წლების განმავლობაში იცავდა. იმის გამო, რომ სანეევმა რამდენჯერმე კატეგორიული უარი განაცხადა საქართველოდან წასვლაზე, საკავშირო სპორტის მესვეურებს გულზე ეკლად ესობოდათ მისი წარმატებები. ეს დამოკიდებულება ცინიზმამდე მივიდა, როცა ჯერ წაუყრუეს მის თხოვნას, მიეცათ უცხოეთში მუშაობის საშუალება, მერე რამდენჯერმე მოატყუეს, ბოლოს კი ლამის ულუკმაპუროდ დატოვეს. ამ დამოკიდებულებამ არა მიზეზ-შედეგობრივი, მაგრამ აშკარად სიმბოლური გამოხატულება ჰპოვა XXII ოლიმპიურ თამაშებზე მოსკოვში.

* * *

მოსკოვის ოლიმპიადა ვიქტორ სანეევის უკანასკნელი ოლიმპიადა იყო, მისი უკანასკნელი გამოსვლა სარბიელზე. იმ დროისათვის ის უკვე წევრი იყო მძლეოსანთა იმ დიდი ოთხეულისა, რომელშიც მასთან ერთად შედიოდნენ სამი სახელგანთქმული ამერიკელი – რეი იური, ჯონ ფლანაგენი და ალფრედ ორტერი, ვინაც სამი და მეტი ოლიმპიური „ოქროს“ მოპოვება შეძლო მძლეოსნობის ერთსა და იმავე დისციპლინაში.

სანეევის უკანასკნელი ნახტომი მოსკოვის ოლიმპიადაზე და საერთოდ მის სპორტულ კარიერაში – 17 მეტრი და 24 სანტიმეტრი – საჩემპიონო იყო, მაგრამ მსაჯთა მეტისმეტი მონდომების წყალობით მხოლოდ ვერცხლის მედალს გასწვდა!

სამ საბჭოთა სამხტომელს – 22 წლის ევგენი ანიკინს, 25 წლის იააკ უუდმიაესა და 35 წლის ვიქტორ სანეევს წინა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, 26 წლის ბრაზილიელი ჟოაო კარლოს დე ოლივეირა უპირისპირდებოდა. ოლივეირა საუკეთესო ფორმაში იყო, სანეევს ტრავმები ტანჯავდა და ბოლო ხანებში მისი საკადრისი შედეგისთვის ვერ მიეღწია, ხოლო ანიკინი და უუდმიაე გამოუცდელები იყვნენ ასეთ სერიოზულ დონეზე საბრძოლველად. მსაჯებს კი ყველაფერი უნდა ეღონათ, რომ გამარჯვება სწორედ საბჭოთა სპორტსმენს დარჩენოდა. ვის და როგორ დაეხმარებოდნენ, მათ თავად უნდა გადაეწყვიტათ. ასეთი იყო დავალება. ანიკინი ცუდად ხტებოდა და ის თავიდანვე გამოირიცხა. მსაჯებს ფავორიტი თბილისელ სანეევსა და ტარტუელ უუდმიაეს შორის უნდა აერჩიათ. ჩანს, ისინი აღარ ენდნენ 35 წლის ვეტერანს და უუდმიაეს მესამე ცდაზე კარგა ბლომად წაუმატეს, ისე ბლომად, რომ მსაჯთა უსინდისობა არათუ თავად სპორტსმენებმა და სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა, ტელემაყურებლებმაც კარგად დაინახეს.

უუდმიაეს 17 მეტრითა და 35 სანტიმეტრით სისტემამ თავისი გაინაღდა. ესტონეთ-საქართველოსა თუ უუდმიაე-სანეევის სპორტული დავა მას აღარ აინტერესებდა და ორტერის რეკორდის გამეორებასაც არად დაგიდევდათ. მეტიც: სისტემას სულაც არ სურდა სანეევი ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონად ეხილა. სანეევმა სისტემას არ გაუმართლა, თუმცა იგი დიდხანს ელოლიავებოდა მას.

სისტემის მიერ შორს გამიზნული ნაბიჯი იყო, რომ უკვე 1967 წელს დააჯილდოვეს 22 წლის პერსპექტიული მხტომელი მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, თუმცა სერიოზული სპორტული წარმატებისათვის მას ჯერ არ მიეღწია.

„მე კარგად მესმოდა, რომ ასეთ ჯილდოს არ ვიმსახურებდი. დაჯილდოებულთა შორის იყო ხალხი, ვინც მთელი ცხოვრება შესწირა სპორტს, აგრეთვე ცნობილი სპორტსმენები, ევროპის ჩემპიონები, ოლიმპიადათა პრიზიორები. მე კი იმ დროისათვის ქვეყნის ჩემპიონიც კი არ ვყოფილვარ. ამიტომ ეს ჯილდო ავანსად მივიღე.“

სისტემას სანეევი იმთავითვე სათავისოდ უნდოდა, სარუსეთოდ, სამოსკოვოდ. არც ჯილდო დაუკლიათ მისთვის და არც დაპირება. რასაც საქართველოში უშედეგოდ ითხოვდა, ათჯერ იმაზე მეტს მოსკოვში სთავაზობდნენ. ის კი ჯიუტად უარზე იდგა. არც სოხუმიდან მოუცვლია ფეხი, არც თბილისიდან, არც საქართველოდან. კი, საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდა, მაგრამ საკავშირო ნაკრებში მუდამ საქართველოს წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირის პირველობებსა თუ საკავშირო სპარტაკიადებშიც მუდამ საქართველოს ღირსებას იცავდა. და ასე გრძელდებოდა ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე. სისტემამ თავისი ვერ გაიტანა. ვერ გაიტანა და სანეევისთვის ბოლო ოლიმპიადაზე როგორც შეეძლო, ისე გადაუხადა სამაგიერო...

პაატა ნაცვლიშვილი

P.S.

1998 წელს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ვიქტორ სანეევს სიდნეიში ინტერვიუ ჩამოართვა. კითხვაზე, აპირებს თუ არა საქართველოში დაბრუნებას, ვიქტორ სანეევი ამბობს:

„რა მნიშვნელობა აქვს, სად მოვკვდები? დღეს საქართველოში – გინდ თბილისში, გინდ სოხუმში – ვის ვჭირდები?.. ისე, დასაფლავება ჩემს მშობლიურ მიწაზე მირჩევნია, რა თქმა უნდა“.

ჩემთვის უცნობია, რას ფიქრობენ დღეს ამის შესახებ ვიქტორ სანეევის მეუღლე იანა ხვარცკია და მათი შვილი სანდრო, მაგრამ მე, ერთი რიგითი ქართველი, თუმცა ამავე დროს ვიქტორ სანეევთან ერთად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ვფიქრობ, რომ საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი საქართველოში უნდა დაიკრძალოს საკადრისი პატივით. საქართველოს ისედაც ბევრი საფლავი აქვს დაკარგული, რომ ესეც არ მიემატოს. სხვა თუ არაფერი, ჩვენ ვალდებული ვართ, აღვასრულოთ ლეგენდარული სპორტსმენის მიერ წლების წინ გამოთქმული სურვილი.

ვიქტორ პირველი!

ახალი წელი ტრაგედიით დაიწყო: სამშობლოდან შორს, ცხრა მთას იქით XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული სოხუმელი მძლეოსანი ვიქტორ სანეევი ინფარქტით გარდაიცვალა.

ჩვენი ტრაგედიაა, 76 წლის სამგზის ოლიმპიურ, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს რომ ვერ მოვუფრთხილდით და ავსტრალიაში ლუკმა პურის საშოვნელად გადასახვეწად გავწირეთ. გავა საუკუნეები, მაგრამ აკოფ კასრელიანის სახელოვანი შეგირდის დიდებას არაფერი მოაკლდება. პირიქით – მისი სახელი ისევე იკაშკაშებს, როგორც ჯესი ოუენსის, პაავო ნურმის, აბებე ბიკილას, პიეტრო მენეას, სერგეი ბუბკასა და სპორტის დედოფლის სხვა მარადიულ გვირგვინოსანთა ელვარება.

სიმბოლურია, რომ მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენი სანეევი, რომელსაც უმაღლესი ტიტულის მოხვეჭის შესაბამისად სამეევსაც უწოდებდნენ, სამხტომში ასპარეზობდა და ოლიმპიური მწვერვალი სამ დედაქალაქში – მეხიკოში, მიუნხენსა და მონრეალში დაიპყრო მაშინდელი საზომით დიდოსტატური შედეგებით – 17,39, 19,35 და 17,29 სანტიმეტრი, მეოთხე ტიტული კი მოსკოვში ქარის გამო დაკარგა (ბევრმა ალბათ არც იცის, რომ ვარჯიში სიმაღლეზე ხტომაში დაიწყო).

დიახ, ხანდახან რეგალიებს ვკარგავთ, მაგრამ კარიერაში მოხვეჭილი ავტორიტეტი მუდმივია. ვიქტორ სანეევი ჩემპიონთა ჩემპიონია!

გიორგი შოთაძე

სანთელი

გიგა ბათიაშვილი

კიდევ ერთმა სასიქადულო ქართველმა დატოვა ეს წუთისოფელი, გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, არქიტექტორთა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე, გამორჩეული პიროვნული ხიბლით აღსავსე პიროვნება, პედაგოგი და მამულიშვილი

გიორგი (გიგა) ბათიაშვილი

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს ბატონ გიგა ბათიაშვილის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახის წევრებს, სანათესაოს და კოლეგებს.

თამაზ შილაკაძე



„ვაი, რა ბოძი წაიქცა“!..

მეგობრის, გიგა ბათიაშვილის ხსოვნას

ბოლო არ უჩანს ერის დიდი შვილების სამარადისო სასუფეველში გადანაცვლებას. წავიდა დიდი ხუროთმოძღვარი, მკვლევარი, არქიტექტორთა მრავალი თაობის აღმზრდელი –**გიგა ბათიაშვილი**.

ჩვენ 70 წელი ერთად მოვდიოდით, ერთი ჭირი და ლხინი გვქონდა, ერთად ვიცავდით ქართული არქიტექტურის ღირსებას.

გიგა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც 60-იან წლებში თბილისის ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის პროცესი დაიწყო. შედეგი იმდენად ეფექტური იყო, რომ თბილისის მაგალითმა მთელს მსოფლიოს მისცა იმპულსი, დაეწყოთ თავიანთი სიძველეების განახლება.

ჩემი თაობის თბილისელებს კარგად ახსოვთ თუ როგორი მეგზური იყო გიგა მაღალი რანგის უცხოელი სტუმრებისთვის. მათ ხიბლავდათ გიგას არა მხოლოდ ინტელექტი, არამედ ელეგანტურობა და მამაკაცური ხიბლი.

გიგას კვლევები თბილისის არქიტექტურაზე საინტერესოა არა მხოლოდ განსაკუთრებული ხედვით, არამედ თხრობის ოსტატობით. ისინი მეცნიერული კვლევებია, მაგრამ იკითხება მხატვრული ნაწარმოების ინტერესით. მათში მრავლადაა პირადული ამბები.

კაცობრიობა, ალბათ, ოდესმე მიაღწევს სრულყოფილების იმ დონეს, როდესაც ადამიანის მიერ ადამიანისადმი მინიჭებული სიკეთე ობიექტურად შეფასდება. გიგა აქაც უპირველესთა რიგებში იქნება.

რა გითხრა, ჩემო გიგა, თავს ზევით ძალა არ არის. ნელ-ნელა უნდა შევეგუოთ უშენობას. მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენს საფლავზე.

ვახტანგ დავითაია.

2 იანვარი, 2022 წელი

ოთარ ჭითანავა, რაულ ჩილაჩავა, ბონდო ჯიქია, კლიმენტი ჯანჯღლავა, ბაკურ გულუა, ლერი ჭითანავა, ანზორ ჭითანავა, ოთო ჭითანავა, თენგიზ შანავა, ჯემალ კვირტია, მურმან ნაჭყებია დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ უახლოეს მეგობარს, საზოგადოება „ზუგდიდელის“ პრეზიდიუმის წევრს, უკეთილშობილეს ადამიანს ნუგზარ მალაშხიას და მის კდემამოსილ მეუღლეს, ქალბატონ ნანას ვაჟის

მალხაზ მალაშხიას

მოულოდნელ გარდაცვალებას.

თუ ადამიანზე ითქმის, ოჯახი, მშობლიური ქალაქი და სამშობლო ასახელა, მისი სახე მსოფლიოს გააცნო და საამაყოდ გახადაო, სწორედ ეს ახალგაზრდა, ენერგიულ, ინტელექტით სავსე, თავმდაბალ, დიდ პროფესიონალზე მალხაზ მალაშხიაზე ითქმოდა. იგი არამარტო თავისი პროფესიით იყო ცნობილი დიპლომატი, არამედ ცხოვრების წესითაც. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე, პარალელურად სამართალმცოდნეობას ეუფლებოდა, გახდა საერთაშორისო ურთიერთობის მაგისტრი, სწავლობდა ბრიტანეთში ოქსფორდის ჰაუზ კოლეჯის სპეციალურ კურსზე. სრულიად ახალგაზრდა, 2000 წლიდან მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ეუთოს მისიაში, შემდეგ ამავე სამინისტროში მრჩევლად, 2010-2013 წლებში – ყაზახეთსა და ყირგიზეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის მრჩევლად. გახლდათ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი სომხეთის რესპუბლიკაში. დღემდე მუშაობდა აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტში სამმართველოს უფროსად.

ასეთი უნიკალური, ფენომენალური ნიჭისა და ღრმა ინტელექტუალი აზროვნების, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა დააკლდა ქვეყანას.

უფალს ებარებოდეს მისი ნათელი სული.

ბონდო ჯიქია ოჯახით თანაუგრძნობს მწუხარებაში ნუგზარ მალაშხიას

შვილის

მალხაზის გარდაცვალების გამო.

რედაქცია „საქართველოს რესპუბლიკაში“
ვაჟა ფშაველას ქ. №48 599 79-76-79

საბაზრო თაღლითობის საიდუმლოებანი!

(მესამე გვერდიდან)

კოტიაშვილი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ერთი ოპერაცია აქვს შესრულებული ირანელ პარტნიორებთან ერთად. **„2013 წელს შემოვიტანეთ კომპიუტერის აქსესუარები, ეს იყო და ეს, ისიც ირანიდან არ შემოგვიტანია.“**

სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ წამყვანი სპეციალისტი კატეგორიულად უარყოფს, რომ ირანელი პარტნიორების დაინტერესება მისი პერსონით, შესაძლოა, „დელტაში“ მის საქმიანობას უკავშირდებოდეს. **„მე ეს ხალხი გავიცანი მანამდე, სანამ დელტაში დავიწყებდი მუშაობას“** – ამტკიცებს ლევან კოტიაშვილი.

ლევან კოტიაშვილის მიერ 2012 წელს თბილისში დაფუძნებულ კომპანია ROV Solutions-ს, რომელსაც ოფისის მისამართად, ტაშკენტის ქუჩა 12ა აქვს მითითებული, საკუთარ ვებ გვერდზე უწერია, რომ კომერციული-ტექნიკური დაივინგის სფეროში ოპერირებს ნავთობისა და გაზის სექტორში წყალქვეშა სამუშაოებისა და ინსპექტირებისთვის. ასევე ჰყავს აგენტები ტაილანდსა და ჰონკონგში. კომპანიის მითითებულ ნომერზე არავინ პასუხობს, ეს ნომერი სატელეფონო ბაზებში რეგისტრირებული არ არის.

სატელეფონო ინტერვიუს დროს ლევან კოტიაშვილს ვკითხეთ, იცოდა თუ არა ROV Solutions საქმიანობის შესახებ, ამ დროს საუბარი მოულოდნელად გაწყდა, რესპონდენტმა მობილური ტელეფონი გამორთო და მასთან დაკავშირება ვეღარ შევძელით.

„ამერიკის ხმა“ დაუკავშირდა საქართველოში ერთ-ერთ ცნობილ დაივინგის კომპანიის მეპატრონეს, რომელიც ქვეყანაში უკვე წლებია მუშაობს და გამოცდილება კომერციული დაივინგის მიმართულებითაც აქვს, მან გვითხრა, რომ ROV Solutions-ის შესახებ არაფერი სმენია.

სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, სადაც ლევან კოტიაშვილი წამყვან სპეციალისტად მუშაობს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონტროლქვეშ იმყოფება.

„დელტა“, რომელიც ქართული სამხედრო მრეწველობის ცენტრია, თბილისის საავიაციო ქარხანასთან ერთად, შემდეგ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს აერთიანებს: ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტს; რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტს; მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტს; გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტს; სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს და ინსტიტუტ „ოპტიკას“.

ლევან კოტიაშვილი აკადემიური დოქტორის ხარისხს ფლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს. ეს ინფორმაცია სტუ-ში დაგვიდასტურეს. ამავე დროს, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტთან, რომელიც „დელტას“ შემადგენლობაშია.

2016 წელს, მეცნიერთა ჯგუფს, რომელშიც ლევან კოტიაშვილიც შედიოდა, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ფუნდამენტური კვლევისთვის გრანტი გამოუყო. პროექტის სახელწოდებაა **„ლოკალიზებული პლასტიკური არეებისა და პლასტიკური ზონის კვლევა, ბირთვულ ენერგეტიკაში და მრეწველობაში გამოყენებული მარტენსიტული კლასის Cr-იან ფოლადებში, დაბალციკლური დაღლილობითი დეფორმაციისას“**.

ლევან კოტიაშვილს, ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, რამდენიმე ტექნიკურ გადაწყვეტილებაზე (გამოგონებაზე) პატენტი აქვს მიღებული, მეტალურგიაში, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, რომელიც დღეს რუსეთის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალურ ცენტრ-როსპატენტშია დაცული.

აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს უსაფრთხოებისა და მრეწველობის ბიუროს გადაწყვეტილებით, თბილისში რეგისტრირებული ROV Solutions, SAEROS Safety ERO Company და თურქეთში რეგისტრირებული Gensis Engineering, რომელსაც ქართული ფილიალი აქვს (და „დელტას“ უფროს სპეციალისტთან არის დაკავშირებული), აშშ-ის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

ამავე მიზეზით, აშშ-მა „შავ სიაში“ შეიყვანა კიდევ 37 კომპანია და საწარმო, რომლებიც ჩინეთში, მალაიზიასა და თურქეთშია რეგისტრირებული.

მსოფლიო რეკორდი... ნაძვის ხეების დადგმაში

გერმანიაში წყვილმა საახალწლოდ სახლში 444 ნაძვის ხე დადგა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ტომას და სიუზანა ერომინებმა ქალაქ რინტელნიდან ხეების მოსართავად 10 ათასი სათამაშო და 300 გირლანდა გამოიყენებს. ამასთან, თითოეული ხე განსხვავებულად არის მორთული.

ერომინების ძალისხმევა გერმანიის რეკორდების ინსტიტუტმა დააფასა და წყვილი ერთ სახლში ნაძვის ხეების რაოდენობით მსოფლიო რეკორდსმენად აღიარა. საინტერესოა, რომ ამ მაჩვენებლით ოჯახმა საკუთარივე რეკორდი გააუმჯობესა — შარშან მათ სახლში 420 ნაძვის ხე მორთეს.

ჭამის დროსაც ვარჯიშობენ

ჩინეთში, რამდენიმე McDonalds-ში მაგიდებთან ველოტრენაჟორები დააყენეს, რომლებზეც მომხმარებლები ჭამის დროს ვარჯიშობენ.

როგორც ირკვევა, ტრენაჟორები კაფეში ჯერ კიდევ სექტემბერში დადგეს, ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირების პოლიტიკის მხარდასაჭერად. ამ ეტაპზე რესტორნებში სულ 10 ასეთი მოწყობილობა დგას. ტრენაჟორზე ვარჯიშის დროს ის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და კლიენტებს მობილური ტელეფონების დატენაც შეუძლიათ. ასეთი ტრენაჟორის გამოყენებისას ადამიანი 250-დან 800-მდე კილოკალორიას ხარჯავს.

თუთიყუშების ჩაბარებამ ყველა შოკში ჩააგდო

აშშ-ში, დეტროიტის ცხოველთა ერთ-ერთ თავშესაფარში კაცმა 800-ზე მეტი თუთიყუში ჩააბარა. როგორც თავშესაფრის თანამშრომლები განმარტავენ, 23 დეკემბერს კაცმა მათ 497 ჩიტი მიუყვანა, რომლებიც 7 გალიაში ჰყავდა გადანაწილებული. შობის შემდეგ კი კაცი თავშესაფარში კიდევ 339 თუთიყუშთან ერთად დაბრუნდა.

თანამშრომლები ამბობენ, რომ შოკში იყვნენ, მაგრამ ჩიტების მიღებაზე უარი ვერ თქვეს, რადგან აშკარა იყო, რომ ისინი არაჯანსაღ გარემოში ცხოვრობდნენ. როგორც გაირკვა, თუთიყუშები კაცის მამას ეკუთვნოდნენ. მან ისინი გასამრავლებლად იყიდა, თუმცა სათანადოდ ვერ უვლიდა და ყოველთვიურად მათ გამოსაკვებად 1 200 დოლარს ხარჯავდა. **„თუთიყუშები ფაქტობრივად ვერ მოძრაობდნენ. მათი სხვადასხვა გალიაში გადასმა მოგვიწია“,** — განმარტეს თავშესაფარში.

კორონავირუსის ახალი შტამი

ფრანგმა მეცნიერებმა კორონავირუსის კიდევ ერთი შტამი აღმოაჩინეს, რომლის შესახებ ჯერ მწირი ინფორმაციაა. გავრცელებული ცნობით, მანამდე უცნობი შტამი კამერუნიდან დაბრუნებულ ადამიანს აღმოაჩნდა, რომელმაც საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში სავარაუდოდ 12 ადამიანი დააინფიცირა. ინფიცირებულებისგან მიღებულმა ტესტმა „მუტაციის ატიპიური კომბინაცია“ აჩვენა. კორონავირუსის ამ ახალმა შტამმა დროებით აღნიშვნა B.1.640.2 მიიღო და ის მარსელის ინფექციურ დაავადებათა ინსტიტუტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს.

წინასწარი კვლევებით, ახალ შტამში 46 მუტაცია გამოვლინდა. შესაძლებელია, რომ ეს შტამი კიდევ უფრო მეტად გადამდები იყოს, თუმცა ამის თაობაზე დაზუსტებული ინფორმაცია ჯერ არ არის, რადგან კვლევა საწყის ეტაპზეა. ამჟამად საფრანგეთში კორონავირუსის „ომიკრონ“ შტამი დომინირებს, რომელიც ინფიცირების 60%-ზე მეტს შეადგენს.

დაავადების ანტირეკორდი აშშ-ში

აშშ-ის კონგრესში „კოვიდ-19“-ით ინფიცირების უპრეცედენტო მაჩვენებელია. როგორც კაპიტოლიუმის შენობაში მომსახურე ექიმმა ბრაიან მონაჰანმა კონგრესს 3 იანვარს წერილით შეატყობინა, ერთი კვირის დადებითობის მაჩვენებელი, ნოემბრის ბოლოს შემდეგ, 1%-დან 13%-მდე გაიზარდა.

მონაჰანის მონაცემებით, კონგრესში კორონავირუსის ინფიცირების ნაწილი ვაქცინირებულ პირებზე მოდის. ინფიცირების შემთხვევებიდან 61%-ს „ომიკრონ“ ვარიანტი შეადგენს, 38%-ს კი, „დელტა“. კაპიტოლიუმში მომუშავე ექიმის მონაცემებით, აცრილ პირებს შორის ინფიცირებას არ გამოუწვევია ჰოსპიტალიზაცია, სერიოზული გართულებები ან სიკვდილიანობა, რაც, მისი თქმით, ადასტურებს ვაქცინაციის მნიშვნელობას. ექიმი კონგრესს ურჩევს, მაქსიმალურად გამოიყენონ მუშაობის დისტანციური ფორმა და შეამცირონ კონტაქტები.

აშშ-ში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში „კოვიდ-19“-ის გავრცელების მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა და დღიურად საშუალოდ 418 ათას შემთხვევას შეადგენს. კორონავირუსის „ომიკრონ“ ვარიანტის გავრცელების ფონზე, აშშ-ში ათასობით სკოლაში სასწავლო პროცესის დაწყება გადაიდო ან დისტანციურ სწავლებით განახლდა. აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების სააგენტომ კი 12-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებში „ფაიზერის“ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ბუსტერდოზის გამოყენების ნებართვა გასცა. ამასთან, მესამე დოზის გასაკეთებლად მეორე დოზიდან დასაშვები ინტერვალი ექვსი თვიდან ხუთ თვემდე შემცირდა.

ისრაელში ინფიცირებულთა რიცხვი იზრდება

ისრაელის მთავრობამ 60 წელზე მეტი ასაკის მქონე ადამიანებისა და სამედიცინო პერსონალისთვის „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მეოთხე დოზა დაამტკიცა. ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ნაფტალი ბენეტმა „ომიკრონ“-ვარიანტთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ისრაელის მთავრობის მეთაურის თქმით, ავადობის მიმდინარე ტალღის განმავლობაში, ახალი ინფექციების რაოდენობამ დღიურად შესაძლოა, 50 000-ს მიაღწიოს. ისრაელის პრემიერ-მინისტრი ქვეყნის მოქალაქეებს მოუწოდებს, ჩაიტარონ აცრები, ატარონ ნიღბები და მიიღონ ზომები რისკის წინაშე მყოფთა დასაცავად.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 6 იანვარს

მშრალი კანონი ავღანეთში

ალკოჰოლის წარმოებისა და რეალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, „თალიბანის“ მთავრობამ 3 000 ლიტრი ალკოჰოლი გაანადგურა. ავღანეთის დაზვერვის გენერალური სამმართველოს თანამშრომლებმა 3 000 ლიტრი ალკოჰოლი ქაბულის ერთ-ერთ არხში ჩაღვარეს.

„მუსლიმებმა სერიოზულად უნდა შეიკავონ თავი ალკოჰოლის დამზადებისა და მიწოდებისგან“, — განაცხადა ერთ-ერთმა რელიგიურმა მოღვაწემ. აღსანიშნავია, რომ ალკოჰოლის გაყიდვა და მოხმარება დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი წინა მთავრობის პირობებშიც იყო აკრძალული, თუმცა „თალიბანი“ უფრო მკაცრ ზომებს ატარებს.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0887; ევრო - 3.5072;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1738;
100 რუბლი - 4.1576; თურქული ლირა - 0.2713;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8196;
1000 სომხური დრამი - 6.4106.

ამინდი 5 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+9
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge